# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 2 აგვისტო, 2008 წელი.

№ 142 (6000)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




## ბატონ ბიძინა ივანიშვილის ერთი ქველმოქმედების უნებლიე უცნაურობა

3

ათასი სამება რომ ააშენოს მავანმა, ეს მაინც არ არის ზეცაში, სასუფეველში შესვლის გარანტია, რადგან იგივე ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს — მდიდარი ისევე ვერ დაიმკვიდრებს სასუფეველს ცათა შინა, როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყუნწში...

## დღეს წმინდა ილია მართლის ხსენების დღეა



### ზურაბ აბაშიძე:

## ის დამარცხდება, ვისაც პირველს გაექცევა ხელი თოფისკენ

2



## „ერის მამაო, ცის და მიწის სათნო ხიდი ხარ“



4

ვულოცავთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია II ანგელოზის დღეს

## ავსტრიის ციხის ბინადარს თურმე საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მიუღია მონაწილეობა (?!)

12

## დეპორტირებული მსოფლიოს ყველა კუთხიდან საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობენ

3



## მხარდაჭერა ალიანსების გარეშე

8

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

◎ კითხული კაცის აზრი

**საქართველოს კონფლიქტურ ზონებში არსებულ მდგომარეობასა და ქართულ-რუსულ ურთიერთობებთან დაკავშირებით „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ ზურაბ აბაშიძეს ესაუბრა.**

# ზურაბ აბაშიძე: ის დამარცხდება, ვისაც პირველს გაექცევა ხელი თოფისკენ





**— ბატონო ზურაბ, აშკარაა, რომ რუსეთ-საქართველოს დაპირისპირებამ რუსეთ-დასავლეთისა და რუსეთ-აშშ-ის დაპირისპირების სახე მიიღო, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ არა მარტო საქართველოს გამო, დანარჩენ მსოფლიოსთან რუსეთის დაპირისპირების წინაპირობა რეალურად არსებობს...**

— ის, რომ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტს გარკვეული გეოპოლიტიკური ქღერადობა ჰქონდა ადრეც ჩანდა, მაგრამ ბოლო ხანს ეს თემა რუსეთის მიმართ დასავლეთის დამოკიდებულებაში მართლაც ერთ-ერთი სერიოზული გამაღიზიანებელი გახდა.

თუკი დასავლეთს რუსეთის მიმართ აქვს სერიოზული პრეტენზიები, ერთ-ერთი სწორედ საქართველო და რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებით მანიპულირებაა.

საქართველოს სახელმწიფო ინტერესში არანაირად არ შედის ის, რომ საქართველო იყოს დასავლეთსა და რუსეთს შორის პაექრობის თემა. ჩვენ გვირჩევნია, რომ აქ მათი ინტერესები ჰარმონიაში იყოს, მაგრამ ფაქტია, დღეისთვის ასეთი ვითარებაა.

**— რჩება შთაბეჭდილება, დასავლეთმა გაითავისა, რომ თუ მან ახლა რუსეთს საქართველო დაუთმო, მერე დასავლეთს რუსეთის იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილება გაუჭირდება. რუსეთთან დაპირისპირებაში რამდენად შეიძლება ჰქონდეს საქართველოს დასავლეთის იმედი?**

— დასავლეთს რუსეთთან ურთიერთობის დიდი გამოცდილება აქვს, რომელიც მე-19 საუკუნეში, საბჭოთა პერიოდსა და „ცივი ომის“ პერიოდში გროვდებოდა, ასე რომ, თუკი დასავლეთში რუსეთის ყოფაქცევაში საბჭოურ სინდრომს ხედავენ, ეს, რბილად რომ ვთქვათ, თავად რუსეთისთვის არ არის კარგი. ამ გამოცდილების რეანიმირება ბოლო ხანს მართლაც მოხდა არა მარტო საქართველოსთან მიმართებაში. დასავლეთს რუსეთის მიმართ ბევრი პრეტენზია დაუგროვდა, მაგრამ ჩემი აზრით, ბუქარესტის სამიტმა ძალიან სერიოზული ბიძგი მისცა რუსეთთან მიმართებაში ბევრი რამის გადაფასებას.

როდესაც დასავლეთის რამდენიმე ქვეყანამ რუსეთის პოზიციები გაითვალისწინა და საქართველოს MAP-ის მიღებაზე უარი უთხრეს, სამიტის შემდეგ სულ რაღაც ორ კვირაში რუსეთმა გადადგა ისეთი ნაბიჯები, რომელიც აფხაზეთის დე ფაქტო ანექსიას მოასწავებდა. მხედველობაში მაქვს პუტინის 16 აპრილის ცნობილი განკარგულება. ამ მოვლენებმა ბიძგი მისცა რუსეთის მხრიდან სრულიად გაუმართლებელ არაარგუმენტირებულ და მაპროვოცირებელ ქმედებებს. დასავლეთმა აფხაზეთში რუსეთის მოქმედებები ადეკვატურად შეაფასა.

რაც შეეხება იმას, უნდა ვიქონიოთ თუ არა დასავლეთის სრული მხარდაჭერის იმედი, ეს, რა თქმა უნდა, არ არის იოლი კითხვა. ჩვენ დიდი გონიერება, თავშეკავება, დიდი წინდახედულობა და რა თქმა უნდა, სრულიად შეთანხმებული მოქმედება გვმართებს ჩვენს დასავლელ პარტნიორებთან. დამარცხდება ის, ვისაც პირველს გაექცევა ხელი თოფისკენ.

ეს არ გამორიცხავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ დიალოგის რეჟიმში რუსეთთან. ჩვენ რუსეთთან ყველა რესურსი უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რათა შეძლებისდაგვარად, მაქსიმალურად აღდგეს მოსკოვთან ნორმალური ურთიერთობები.

**— რუსეთი დასავლეთის კრიტიკას არ იმჩნევს. მოსკოვი დასავლეთს ღიად მიანიშნებს იმაზე, რომ თუკი უკრაინა და საქართველო დეკემბერში MAP-ს მიიღებენ, რუსეთი ყველანაირი სცენარისათვის მზადაა და დასავლეთთან ღია დაპირისპირებას არ გამორიცხავს.**

— ნატოსკენ ჩვენი სწრაფვა მარტო დასავლეთთან საერთო ფასეულობების პრობლემა არ არის. აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ძალისმიერი პოლიტიკით ჩვენ ნატოსკენ თავად რუსეთმა გვიბიძგა. ამას მე ხშირად ვიმეორებ. ჩემი აზრით, ჩვენ და უკრაინასაც რუსეთი დღესაც გვეხმარება ნატოსკენ უფრო სწრაფი ტემპით სიარულში.

რომ არა ჩვენს მიმართ რუსეთის მიერ გატარებული ძალისმიერი პოლიტიკა, ჩვენ ნატოში ასე თავქუდმოგლეჯილი არ გავიქცეოდით. ჩვენი ნატოში სწრაფვა გარკვეულწილად რუსეთის დამსახურებაა.

საქართველოსა და უკრაინის გამო დასავლეთის მიმართ რუსეთის მუქარა ცივილიზებულ მსოფლიოში სრულ გაუგებრობას იწვევს. დასავლეთისთვის გაუგებარია, ნატოში გაწევრების სურვილი რატომ არის დასჯადი. ნატო ხომ ტერორისტული ორგანიზაცია არ არის. ნატო ხომ დღევანდელი მსოფლიოს სტაბილურობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული გარანტია.

თუკი რუსეთს უნდა, მისი სამეზობლო მისკენ იყურებოდეს, მათ დასჯაზე კი არა, მათდამი კონსტრუქციული საქციელით მათივე კეთილგანწყობის მოპოვებაზე უნდა ფიქრობდეს. ამის რესურსები რუსეთს აქვს. რუსეთმა თავის თავს უნდა დაუსვას კითხვა — რატომ გარბიან მისი მეზობლები ნატოსკენ? ჩვენ და უკრაინა ხომ პირველები არ ვართ, მანამდე იყო ბალტიისპირეთი, მერე აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები, სხვა ქვეყნებსაც რომ მისცე უფლება და მათ რომ რუსეთის არ ეშინოდეთ, ისინიც ნატოში გაწევრების სურვილს განაცხადებდნენ.

ჩვენი რუსი კოლეგები ხშირად საუბრობენ იმაზე, თითქოს ჩვენ ნატოში გვინდა, რადგან იქ მეტი ფულიაო. ახლა რუსეთს შესაძლოა დასავლეთზე მეტი ფულიც ჰქონდეს, მაგრამ არ მსმენია, ვინმე დსთ-ს ფარგლებში მოქმედი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში გაწევრების სურვილს გამოთქვამდეს. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთში თვითკრიტიკა დაბალ დონეზეა, მეტიც, მათ თვითკრიტიკის უნარი საერთოდ დაკარგეს.

**— დასავლელი და რუსი ექსპერტები ხშირად საუბრობენ ახალ „ცივ ომზე“. თქვენი აზრით, რამდენად სავარაუდოა მოვლენათა „ცივი ომის“ სცენარით განვითარება?**

— „ცივი ომის“ საშიშროება არარეალურია. რუსეთში „ცივი ომის“ გამოცდილება არ დავიწყნიათ და კარგად უნდა ახსოვდეთ, რომ „ცივი ომი“ საბჭოთა კავშირის დაშლით დამთავრდა. საბჭოთა კავშირი გაცილებით ძლიერი სახელმწიფო იყო, ვიდრე დღევანდელი რუსეთია. თუ ამ დაპირისპირებას საბჭოთა კავშირმა ვერ გაუძლო, რუსეთი კიდევ უფრო მეტად ვერ გაუძლებს და დარწმუნებით, ამას რუსეთში სრულად აცნობიერებენ. ამიტომ რუსეთის გეგმებში „ცივი ომის“ დაწყება არ შედის.

**— საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გრიგოლ ვაშაძემ განაცხადა, რომ ქართული მხარე ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელმოწერას არ აპირებს. ამ ფონზე, რამდენად რეალურია გერმანიის მონაწილეობით სოხუმთან პირდაპირი დიალოგის პერსპექტივა?**

— უბედურება ისაა, რომ ჩვენსა და აფხაზებს შორის, ჩვენსა და რუსებს შორის არის სრული უნდობლობა. როდესაც გვეუბნებიან, კოდორიდან გაიყვანეთ ყველანაირი ქვედანაყოფები, ჯერ ერთი, მე ნამდვილად არ ვიცი რა გვყავს ჩვენ კოდორში. როგორც საერთაშორისო დამკვირვებლები ამბობენ, ჩვენი მხრიდან კვოტების გადაჭარბებას ადგილი არ აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ ქართულმა მხარემ ხეობიდან ბოლო პოლიციელი გამოიყვანა, რა გარანტიაა, რომ ჩვენი რუსი და აფხაზი კოლეგები არ გაიმეორებენ იმას, რაც კოდორის ხეობაში 1999 წელს მოხდა? მხედველობაში მაქვს ხეობაში რუსული დესანტის გადასხმა. სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად შევარდნაძეს მოუწია იქ ჩაფრენა და ვითარების განმუხტვა. ვინ მოგვცემს ჩვენ იმის გარანტიას, რომ ხეობიდან პოლიციელთა გამოყვანის შემდეგ რუსეთი იგივეს არ გაიმეორებს?

იხ. 4 გვ.

◎ კონფლიქტის ზონა

# მორიგი აფეთქება ერედვთან

## სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის განცხადება

**გუშინ, გამთენიისას, ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მორიგი ინციდენტი მოხდა: ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე ოსი სეპარატისტების მიერ ჩადებული ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი ქართული სპეცდანიშნულების რაზმის გადაადგილების დროს ამოქმედდა.**

**შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა დაიჭრა 5 სამართალდამცავი. დაშავებულები გორის სამხედრო ჰოსპიტალში იმყოფებიან.**

**აღსანიშნავია, რომ ზუსტად იმავე ადგილზე რამდენიმე კვირის წინათ თავდასხმა მოხდა სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელზე დიმიტრი სანაკოევზე.**

**ამ თემაზე სპეციალური განცხადება გააკეთა სამხრეთ ოსეთის დროებითმა ადმინისტრაციამ, რომელსაც აქვე გთავაზობთ:**

1 აგვისტოს, დაახლოებით 8.15 საათზე ერედვი-ხეითის შემოვლით გზაზე, სოფელ ერედვთან სეპარატისტთა ტერორისტულმა დაჯგუფებამ ააფეთქა პოლიციის საპატრულო მანქანა. აფეთქების შედეგად სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო ხუთმა პოლიციელმა, რომლებიც გადაყვანილ იქნენ გორის საავადმყოფოში.

ალნიშნული ტერორისტული აქტი არის გაგრძელება კონფლიქტის ზონაში ბოლო დღეებში მიმდინარე შეიარაღებული პროვოკაციებისა, რომლებიც ხორციელდება სეპარატისტთა ბანდფორმირებების მიერ კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლობის წაყრუებით, რაც ფაქტობრივად წაქეზების სახეს იღებს. შემაშფოთებელია ის გარემოება, რომ სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობა საკუთარ უსუსურობას არც მალავს. ამაზე მეტყველებს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლის თანაშემწის ვ. ივანოვის 30 ივლისის განცხადება იმის შესახებ, რომ ოსური მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე „უცნობმა შეიარაღებულმა პირებმა“ მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც შედგებოდა ეუთოს დამკვირვებლებისა და რუსეთის სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებისგან, სოფელ ძორბაულთან ძალის გამოყენებით შეაჩერეს და გადაადგილების საშუალება არ მისცეს. მოხდა რამდენიმე გასროლა ავტომატური იარაღიდან. ამ ფაქტით აღშფოთებული ვ. ივანოვი ითხოვს სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებას დამნაშავეთა მიმართ. ამ შემთხვევაში კომენტარები ზედმეტია.



სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია მოუწოდებს კოლექტიური სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობას, გამოიყენოს მანდატით მინიჭებული უფლებამოსილება და აღკვეთოს კონფლიქტის ზონაში ბანდფორმირებების თარეში, არ დაუშვას ამ ზონაში დაქირავებულ ტერორისტთა შემოყვანა, ხელი შეუწყოს მოსახლეობის თავისუფალ, უსაფრთხო გადაადგილებას. ადმინისტრაცია მზადაა, ალნიშნულ პრობლემათა გადაწყვეტაში ითანამშრომლოს ყველა დაინტერესებულ მხარესთან, პირველ რიგში კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლობასთან.

1. 08. 2008 წ.

პრობლემა

**ქართველზე გულარხეინი კაცი დედამიწის ზურგზე მეორე არ დადის. ესეც ჩვენი ეროვნული ხასიათის თანდაყოლილი ფსიქო-გენეტიკური ნიშან-თვისებათაგანია, გენიოსურად რომ გამოხატა ნიკოლოზ ბარათაშვილმა – „და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს, იგი ამისთვის არა დალონდეს!“...**

ლურია თუნდაც ის, თუ რა უნდა ვუწოდოთ ამ ხალხს – „თურქი მესხი“, „მაჰმადიანი მესხი“, „მაჰმადიანი ქართველი“, თუ კიდევ სხვა რამ. ესეც ქართული ხასიათია – სახელს გადავყვებით ხოლმე თან. ისე, კაცმა რომ თქვას, ერთ-ორ ადამიანს შეიძლება ორი ეროვნების აღმნიშ-

ბარგდეს, ეს შოთა რუსთაველისა და შალვა ახალციხელის ნაშიერები კი მზად არიან ამერიკიდან კვლავ თავის ბედკრულ სამშობლოში დაბრუნდნენ. ამას გრიგოლ რობაქიძისა არ იყოს, „სისხლის ყივილი“ ჰქვია!..

მახსენდება ილიას წერილები, აჭარის შემოერთების წლებში

**ძმისთვის და შავი დღისთვის!“, ეხლა გამოჩნდება, შენ მარტო დღევანდელს დღეზედ ხარ მიბმული, თუ ხვალისთვისაც სწუხ და ჰფიქრობ!“**

ბევრი ლაპარაკი იყო ადამიანის უფლებებზე, ამ მხრივ შესანიშნავად დასვა საკითხი სახალხო დამცველის მოადგილემ

ინც აღარ უნდა დავაგვიანოთ და ძმური დახმარების ხელი გავუწოდოთ ჩვენს სისლისმიერ ძმებს. ამ მიზნით ჯერ კიდევ ამ ოცი წლის წინათ, ივრისპირეთში, დალის წყალსაცავსა და დავით გარეჯის მონასტერს შორის საფუძველი ჩაეყარა კიბუცური ტიპის მსხვილ სადაბო-

# „ილიაწმინდა“: ქართული სახელმწიფოს და ჩვენი ტოლერანტობის სასინჯი ქვა



## დეპორტირებულები მსოფლიოს ყველა კუთხიდან საქართველოში დაბრუნებაზე ოცნებობენ

ეს გრძნობა დაეუფლებოდა კაცს, 29 ივლისს „კინოს სახლში“ ე. წ. „თურქი მესხების“ პრობლემის მორიგ გარჩევას რომ დასწრებოდა. იყო ცხარე კამათი, ემოციური გამოსვლები, ილიას „ოთარაანთ ქვრივისა“ არ იყოს, „გულის ფხანა“, მაგრამ მეტი არაფერი: ეს ათასგზის დევნილი და გაუბედურებული ხალხი კვლავ ასეთად რჩება XV საუკუნიდან დღემდე და ყოველთვის ვაგვიანებთ, როცა მათ გადარჩენაზე მიდგება საქმე...

რამდენიმე საინტერესო პიროვნებას შევხვდით აქ და ვფიქრობთ, მკითხველს დააინტერესებს მათი აზრი ამ კიდევ ერთი „წყევლა-კრულვიან“ საკითხზე, განხეთქილების ვაშლად რომ იქცა ჩვენი საზოგადოებისთვის. ამ მხრივ, სიმბოვნელი სახელი დავარქვათ, ვთქვათ, „რუს-ქართველა“, მაგრამ სად გაგონილა, მთელ ხალხს ორი სხვადასხვა ეროვნებისა და ჯიშ-ჯილაგის სახელი შევარქვათ?! – ესეც მესხეთისა და მესხების 600-წლიანი ტრაგედიის ანარეკლია...

ერთი საინტერესო დეტალი **სულეიმან ბარბაქაძის** – საზოგადოება „ვატანის“ („სამშობლო“ძ გამოსვლიდან: როდესაც ფერგანიდან დევნილ მესხებს (ესეც მრავლისმეტყველია, რომ სუნიტი უზბეკები შესანიშნავად მიხვდნენ, რა „თურქებიც“ ჩაუსახლეს მათ ფერგანის ველზე 1944 წელს!ძ, ყუბანში ახლა იქაური კაზაკები დაერივნენ, ამერიკელებს შეეცოდათ და იქ გადაასახლეს. მაგრამ საოცრება – ლამის მთელი საქართველო ევროპა-ამერიკაში გადაროგორ ხმალამოღჯებული აღუდგა წინ ჩვენი ზოგიერთი „გიჟ-ვრაცუას“ გამოხდომას „აჭარელი თათრების“ წინააღმდეგ. სწორედ მაშინ იშვა მისი „საერთო ნიადაგის“ თეორიის „ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობის“ დიდი იდეა, იდეა, რომელიც ბალავრის ქვად უნდა დაედოს ქართული სახელმწიფოს მშენებლობას:

**„თუ მართლა აჭარა აიყრება და გადასახლდება, ეს გაუგონარი, ჭკუისშემძვრელი რამ იქნება... რა ამბავია, რა ამბავია – ადამიანი კიდევ ადამიანია, თუ განადირდა, გამხეცდა, რომ გვერდით ადამიანს ველარ იყენებს, ველარ იშვნევს, ველარ ითვისებს...**

**აბა, ქართველობავ, ეხლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს ქვეყანას, როგორ დაუმტკიცებ ყველას მამა-პაპათა ანდერძს – „ძმა**

**სოფიო ხორგუანმა**, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლებმაც.

დასკვნაც პრინციპული იყო: რუსეთმა, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ, პასუხი უნდა აგოს ამ ხალხის უბედურებაზე ადრეც და ახლაც, მარტო ატომი და რაკეტები რომ ირგუნა მემკვიდრეობით ბოლშევიკური იმპერიისგან...

მაგრამ მთავარი, რაც ამ შეხვედრაზე ითქვა, ამ ხალხის მომავალზე ჩვენი ზრუნვა და პასუხისმგებლობაა. ამჯერად მასასოფლო დასახლებას – „ილიაწმინდას“, როგორც ქრისტიან და მაჰმადიან ქართველთა ერთობის ილიასეული იდეის სიმბოლოს. იქნებ, დადგა დრო, რომ ამ იდეას და ამ სიმბოლოს ახალი სიცოცხლე მივცეთ?!

ახლა გამოჩნდება ჩვენი ნაქები პატრიოტობა და ტოლერანტობა და ისიც, ილიასი არ იყოს, მარტო დღევანდელს დღეზე ვართ მიბმულნი, თუ ხვალინდელზედ ვწუხთ და ვფიქრობთ...

ელბერტ ბატიაშვილი

პოზიცია

*„ახლა, როცა ამ სტრიქონს ვწერ, შუაღამე იწვის დნება“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ, საჩხერის რაიონის ულამაზეს სოფელ ბჟინევში, სადაც თბილისურ ხვატს გამოვერიდე, საოცრად გრილა, თბილისთან შედარებით, შეიძლება ითქვას, ცივა კიდეც. და რაც მთავარია, „ჩემს“ სოფელს სულ რაღაც 4-5 კილომეტრი აშორებს წინამდებარე წერილის მთავარი გმირის მშობლიური, ასევე ლამაზი ჭორვილასაგან. ამ წერილის დაწერის მიზეზი კი გაზეთ „ალიას“ მიერ ბატონ ბიძინა ივანაშვილის მიმართ გამოქვეყნებული მასალის გამო ზოგადად ქართულ მედიაში ამტყდარი არაჯანსაღი აჟიოტაჟია, რასაც არაფერი აქვს საერთო ჯანსაღ პოლემიკასთან. უფრო სწორად, ყველაფერი ე. წ. „ქართუ“ ჯგუფის, იგივე ივანაშვილის საქველმოქმედო ფონდის პრესცენტრის, როგორც ამბობენ, რბილად რომ ვთქვათ, მოუზომავი განცხადების შემდეგ დაიწყო.*



# ბატონ ბიძინა ივანაშვილის ერთი ქველმოქმედების უნებლიე უცნაურობა

### „არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობ“

**უფროსი თაობის ადამიანებს ემახსოვრებათ, რომ ბორის პასტერნაკის რომანის „დოქტორი ჟივაგოს“ ნობელის პრემიაზე წარდგენას საბჭოთა პროპაგანდამ ავტორისა და მისი რომანის გაქიქებით, საჯარო კრიტიკით უპასუხა.** საქმე ანეკდოტურ სიტუაციამდეც კი მივიდა, როცა ერთ-ერთ კომკავშირულ საჯარო კრებაზე ერთმა „კომსომოლა“ აქტივისტმა განაცხადა, რომანი არ წამიკითხავს, მაგრამ ვგმობო.

წინამდებარე წერილის შესავალში ლამის მეც იმ „კომსომოლას“ დავემსგავსე: არც „ალიაში“ გამოქვეყნებული წამიკითხავს და არც „ქართუ“ ჯგუფის პრესცენტრის განცხადება. თუმცა არც ვინმეს ქებას ვაპირებ და არც ძაგებას. ერთადერთი, რაც თბილისში მოვასწარი, ის იყო, რომ „კავკასიაში“ ამ თემაზე ორ გადაცემას ვუყურე. პირველში აღშფოთებული გიგა ლორთქიფანიძე ბრდღვინავდა – ივანაშვილს, მსოფლიო მასშტაბით უპრეცედენტო მეცენატ-ქველმოქმედს, კრიტიკა როგორ გაუბედეს, თანაც ვინ – ჭორიკანა „ალიამო“. თან კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით დაამშვიდა ბატონი ბიძინა ივანაშვილი: უმადურობა ქართველების სენიაო...

ამ საღამოს რამაზ კლიმიაშვილმაც დარეკა და საერთოდ ეჭვქვეშ დააყენა ბატონ ბიძინა ივანაშვილის არსებობა – ჯერ ვერ გავიგე, ეს კაცი ივანაშვილია თუ ივანიშვილი და საერთოდ ფიზიკურად არსებობს ეს კაცი თუ ხელისუფლების ვირტუალური გამონაგონიაო.

ამ დღეს უშედეგო აღმოჩნდა ჩემი მცდელობა „აქუს“ ეთერში მოხვედრისა. ეს რომ მომეხერხებინა, გამძვინვარებულ გიგა ლორთქიფანიძეს დავამშვიდებდი – უთუოდ კარგია, რომ ბატონი ბიძინა ასობით გიგასნაირ შემოქმედს არცთუ მცირე პენსიას უხდის, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს ქართული კულტურის, როგორც ასეთის, გადარჩენას. ეს ეროვნული ფენომენია, რომელსაც, წარსულის სახით, ძლიერი ფესვები აქვს და, აქედან გამომდინარე, თვითგადარჩენის ზებუნებრივ ძალას ფლობს. ამ ძალას **ეროვნული ნიჭი** ჰქვია.

აქედან გამომდინარე, მისი დიდი დამსახურების მიუხედავად, გიგა ლორთქიფანიძეებით არც იწყება და არც მთავრდება ქართული კულტურა. მართალია, დღეს სტაგნაციის პერიოდი აქვს ქართულ კინოს, თეატრს, მწერლობას, მხატვრობას, ერთ დროს ხელოვნების დონემდე აყვანილ ქართულ ფეხბურთს, ისევე როგორც ზოგადად ქართულ სახელმწიფოს, რომლის „პოტიომკინის სოფლობას“ მხოლოდ ქეთუსია იგნატოვები ვერ, უფრო სწორად, არ ამჩნევენ, მაგრამ...

იმასაც ვეტყოდი ბატონ გიგას, რომ უმადურობას ეროვნება არა აქვს.

იხ. 5 გვ.

ინფორმაცია

### „ქართველთა ფანტაზიას წერტილი უნდა დაესვას“

**რუსული სარკინიგზო ჯარების მიერ აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება მათთვის დაკისრებული დავალების დროულად და ხარისხიანად შესრულების გამო მოხდა, – ამის შესახებ განცხადება თვითგამოცხადებული აფხაზეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ გააკეთა.**

**მისი თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლების ფანტაზიას წერტილი უნდა დაესვას.**

### წლეულს მოსკოვში ეროვნულ ნიადაგზე 73 კაცია მოკლული

**2008 წლის დასაწყისიდან რუსეთში ქსენოფობიისა და ეროვნული დისკრიმინაციის ნიადაგზე 73 ადამინია მოკლული.**

**ამის შესახებ აზერბაიჯანული სააგნეტო „აპა“ ადამიანის უფლებათა დამცველების მონიტორინგის მონაცემზე დაყრდნობით იუწყება.**

**სააგნეტოს ინფორმაციით, ყველაზე მეტად ასეთი შემთხვევები მოსკოვში (36 მოკლული, 100 დაზარალებული), სანკტ-პეტერბურგსა (16 მოკლული, 25 დაზარალებული) და სვერდლოვსკის რაიონში (6 გარდაცვლილი, 5 დაზარალებული) ფიქსირდება.**

**ამასთან, მსხვერპლთა შორის არიან რუსებიც. ყველაზე მეტად მიმდინარე წელს ქსენოფობიისა და ეროვნული დისკრიმინაციის მსხვერპლნი აზერბაიჯანელები, უზბეკები და ტაჯიკეთის მოქალაქეები გახდნენ. მსგავსი მოტივით მოკლულთა შორის, სააგენტოს ინფორმაციით, ქართველები არ შედიან.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

სულის კომპასად

# „ერის მამაო, ცის და მიწის სათნო ხიდი ხარ“

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II „ეპისტოლენი, სიტყვანი და ქადაგებანის“ მე-3 ტომის გამოსვლის გამო



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის აღსაყდრების 30 და დაბადებიდან 75 წლისთავის საიუბილეოდ დაიბეჭდა „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი“-ს III წიგნი, რომელიც მისი უწმიდესობის 1998-2007 წლების სიტყვიერ ნაღვაწს მოიცავს. პირველი ორი წიგნი, როგორც მკითხველს მოეხსენება, კათოლიკოს-პატრიარქის 1977-1997 წლებში დაწერილსა და წარმოთქმულ ეპისტოლეებსა და სიტყვებს შეიცავს და 1997 წელს არის დაბეჭდილი. სამივე წიგნი საქართველოს საპატრიარქოს საგამომცემლო განყოფილებამ მოამზადა და გამოსცა.

მესამე ტომში, გარდა ავტორის ეპისტოლური და ჰომილეტიკური მემკვიდრეობისა, შეტანილია პროფ. გვანცა კოპლატაძის მიერ შექმნილი „ცხოვრება და მოღვაწეობა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა“ და მისი უწმიდესობისადმი მიძღვნილი ცნობილი პოეტების ლექსები, რომელნიც ჩვენი საამაყო საჭეთმპყრობელის მიმართ ყოველთა ქართველთა და არაქართველთა სიყვარულისა და პატივისცემის გამომხატველნი არიან. აქვე, გამომცემლობის სახელით, ბოდიშს მოვუხდით იმ ავტორებს, რომელთაც კათოლიკოს-პატრიარქს თაყვანისცემითა და გულისხმიერებით აღსავსე მილოცვები, ლექსები თუ წერილები მიუძღვნეს, მაგრამ წიგნში მათი შეტანა ვერ შევძელით.

შოთა ნიშნიანიძის, რეზო ამაშუკელის, ჯანსუღ ჩარკვიანისა და ემზარ კვიტაიშვილის ლექსების გვერდით დაბეჭდილია ფელიქს ბახჩინიანის „ჯვარცმულს სიკვდილი არ უწერია“. სხვათა შორის, ამ პოეტის სახელი იმიტომ გამოვყავით, რომ მკითხველის ყურადღება მიგვექცია ერის ისეთი წარმომადგენლისთვის, რომელსაც საკუთარი ღირსებით მთელი ერის პატივის ამაღლება შეუძლია. ვფიქრობთ, ამ მნიშვნელობის კაცია „ჯვარცმულის“ ავტორი, რადგან მან ბევრი ისეთი რამის დანახვა შეძლო, რაც სასიამოვნო გაკვირვებას იწვევს. ჩემი მხრივ კი ვიტყვი, როცა ქართველთა შესახებ ვაიმეცნიერთა პასკვილებს ვეცნობი და გონება მრისხანე სიტყვებად ამოფრქვევას ლამობს, სწორედ ფ. ბახჩინიანის ამ ლექსს ვიღებ, რომლითაც მან მართლაც გამოუთქმელი მშვენიერებით აღწერა მისი შეხვედრა უწმიდესთან, და სევდანარევი სიმშვიდით აზრებს ვალაგებ: თუ ამ კაცისთვის „წმიდა ილია საქართველოს ნება და სინდისია“, მაშინ ისიც ხატი, სახე და მაგალითია მთელი სომხეთის.

სამწუხაროდ, რეალობა სხვაგვარია, მაგრამ ალბათ მაინც ღირს ჭეშმარიტ პოეზიასთან დარჩენა, რადგან სიტყვიერ ხელოვნებათაგან ნამდვილი რეალურობის, ანუ წარუვალი მშვენიერების ჭვრეტით ადამიანის დატკბობა ყველაზე მეტად მას ხელეწიფება.

რაც შეეხება „ცხოვრებასა და მოღვაწეობას“, პირველ რიგში მის სათაურზე შევჩერდებით – „დიდებასა ღმრთისასა ეძიებს“. მარტო ამ განსაზღვრებითაც ძნელი მისახვედრი აღარ არის, თუ როგორ მოღვაწეზე უნდა იყოს „ცხოვრება“ დაწერილი. სიყვარულის მოციქული მაცხოვრის სიტყვებს გადმოგვცემს: „რომელი ეძიებნ დიდებასა მომავლინებელისა თჳსისასა, იგი ჭეშმარიტ არს, და სიცრუჱ არა არს მის თანა“ (ინ. 7,18), ხოლო მაცხოვრის სიტყვებისა მხოლოდ იმათ არ სწამთ, რომელნიც დიდებას ერთმანეთისგან მიიღებენ და დიდებასა მხოლოჲსა ღმრთისასა არა ეძიებენ (ინ. 5,44). ამიტომაც ბრწყინავს მისი უწმიდესობის ნათელი წინაშე კაცთა, რადგან ისინი მის კეთილ, ღმრთის სადიდებელ საქმეებს ხედავენ და თვითონაც ღმერთს ადიდებენ.

ქართველი ერისთვის უწმიდესი და უნეტარესი ყოველთვის ღმრთისკენ გადებული ხიდის ფუნქციას ასრულებს და არა იმ კედლისა, რომელიც ცრუმოძღვართა სახით ზეცასა და მიწას შორის აღიმართება ხოლმე და ცდილობს, ღმრთის ადგილი თვითონ დაიკავოს. ამ ოცდაათწლიანი მსახურების მანძილზე ამგვარ მოძღვართა თუ ერისკაცთა ნამოქმედარით არაერთხელ აღელვებულა საქართველოს ეკლესია, მაგრამ სიყვარულით სავსე გულმა და სარწმუნოების სიმტკიცემ კათოლიკოს-პატრიარქს შეაძლებინეს ერთიანობის შენარჩუნება, უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღების დროს ოქროს შუალედის გამონახვა და კონსენსუსის მიღწევა.

რა თქმა უნდა, ბიოგრაფიული მონათხრობი ვერ ამოწურავს დამსახურებას მრავალჭირნახული კათოლიკოს-პატრიარქისა, მაგრამ მის დიდ ნამოღვაწართან ერთად ნაწილობრივ მაინც გვაგრძნობინებს სიმძიმეს იმ ჯვრისა, რომელსაც საქართველოს ეკლესიის ტახტის მპყრობელი უკვე ოცდაათი წელიწადია ღირსებითა და შემართებით ატარებს.

დაბოლოს, თვით ეპისტოლენი, სიტყვანი და ქადაგებანი მთავარ სათქმელს თვითონვე ამბობენ. აქ მოცემული ორიენტირები კულტურის, მეცნიერების, სასულიერო თუ პოლიტიკურ სფეროთა წარმომადგენელთათვის გადამრჩენი გზის მაჩვენებელია. არსი მისი უწმიდესობის სამოძღვრო შემოქმედებისა სულიერების, ტრადიციისა და ეროვნულობის საკადრისად დაცვაა. თუკი ქართველი ერი თავის სასარგებლოდ მოიხმარს სულიერი მამის სწავლებასა და დარიგებას, მაშინ იგი ყველა იმ განსაცდელის მშვიდობით გადატანასაც შეძლებს, რაც კი გლობალიზაციის ქარბორბალამ ჩვენნაირ მცირერიცხოვან ერს შეიძლება თავს დაატეხოს.




საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიოს მოწყობის ახალ პირობებში ჩვენ თვითდამკვიდრების რთულ ეტაპზე ვიმყოფებით. ამიტომ საუკუნეობრივი გამოცდილებითა და უცვლელი ზნეობრივი ღირებულებებით ნაწრთობი ეკლესიური სწავლება, რომელიც მისი უწმიდესობის ბაგეთაგან ერის დასამოძღვრად ჟღერს, არის ერთადერთი საშუალება, რათა ჩვენს ძირებს არ მოვწყდეთ და კოსმოპოლიტიზმის უსახურ მორევში არ დავინთქათ. როგორც უწმიდესისა და უნეტარესის იდეური წინამორბედი, წმ. ილია მართალი იტყოდა: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას?“ ხოლო ვინც დღეს ამ ეროვნულ-სარწმუნოებრივი ერთიანობის იდეის წინააღმდეგ მოქმედებს, ეჭვს გარეშეა, რომ იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობის, განათლებული ქართველი საზოგადოებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის შეგნებული მტერია. ვინც საქართველოში ბოლოდროინდელ მოვლენებს მიუკერძოებლად აანალიზებს, მას აქ ნათქვამი ზღვარგადასულ სიმკაცრედ არ მოეჩვენება. ჯერჯერობით, მისი უწმიდესობის ნაქადაგები სიტყვისა და სოციალურ-პოლიტიკური კურსის იდეური ვექტორები ერთმანეთს არ ემთხვევიან, ხოლო თუ ეს მოხდა და ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის მართლაც სიმფონიური დამოკიდებულება დამყარდა, მაშინ კათოლიკოს-პატრიარქის სამტომეული სახელმძღვანელოდ გადაიქცევა და საყოველთაო სინერგია ჩვენს პატარა ქვეყანასაც დაუდებს ისეთ საძირკველს, რომელზეც ერი და ბერი კეთილი მომავლის ასაშენებლად ერთსულოვნად შეკრბებიან.

ასე რომ, მისი უწმიდესობისადმი პატივისცემა და სიყვარული მარტო შესხმით კი არ უნდა გამოვხატოთ, არამედ მისთა შეგონებათა შესისხლხორცებითა და საქმედ ქცევით.

**გრიგოლ რუხაძე**

კითხული კაცის აზრი

# ზურაბ აბაშიძე: ის დამარცხდება, ვისაც პირველს გაექცევა ხელი თოფისკენ

(მეორე გვერდიდან)

ჩემთვის გაუგებარია რუსი კოლეგების მოთხოვნა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაზე საუბარი. ვის შორის უნდა მოეწეროს ხელი ხელშეკრულებას? თუ ჩვენსა და აფხაზებს შორის უნდა მოეწეროს, ეს არ არის, ასე ვთქვათ, რელავანტური. იმიტომ, რომ ჩვენ აფხაზებისგან თავდასხმას არ ველით, არც ჩვენი მხრიდან არის გაცხადებული მათზე თავდასხმა. აქ პრობლემა ისაა, რომ საქართველოს რუსეთის სამხედრო ფაქტორი აშინებს. მეორეცაა, რუსეთი მზადაა, როგორც მხარე, მონაწილეობა მიიღოს ასეთ შეთანხმებაში? ეს გაუგებარი რჩება. ანაც ქართველებსა და აფხაზებს შორის ასეთ ხელშეკრულებას რა ძალა ექნება...

**— ცხადია, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონებში სტატუს-კვოს შენარჩუნებას ცდილობს, მაგრამ პარალელურად კრემლთან დაახლოებული რუსი ექსპერტები აქტიურად ამკვიდრებენ აზრს იმის შესახებ, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად გადაწყვეტის ერთადერთი გზა აფხაზეთის ტერიტორიის გაყოფაა. თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია აფხაზეთის გაყოფის პერსპექტივა და მართლა განიხილება თუ არა ამგვარი პერსპექტივა?**

— ასეთი რამ ძალიან რთულად წარმოსადგენია. რამდენადაც ვიცი, აფხაზეთის გაყოფის თემა არსად განხილულა. თუ ყველა მხარე რეალისტურად მოეკიდება ხელს იმ ინიციატივას, რომელიც გერმანელებმა შემოგვთავაზეს, რომელშიც სამშვიდობო პროცესის პერსპექტივა ჩანს და რომელიც შეთანხმებისკენ გზად აღიქმება, ეს ისეთი კომპრომისული გზაა, თუ საბოლოო შედეგამდე მივალთ, ყველა მხარე ცოტა უკმაყოფილო იქნება.

კომპრომისი ასეთ სიტუაციაში სწორედ იმას ნიშნავს, რომ ერთი მხარე გამარჯვებული ვერ დარჩება, ცოტ-ცოტა ყველამ უნდა დათმოს. გერმანიის ინიციატივა არანაირ გაყოფას არ ითვალისწინებს.

**— ხომ ვერ დააზუსტებდით რა კომპრომისზე წასვლა მოუწევს ქართულ მხარეს?**

— ჩემი აზრით, დსთ-ს ფარგლებში 1996 წელს დაწესებული ეკონომიკური შეზღუდვის რეჟიმი, საიდანაც რუსეთი უკვე გავიდა, შეიძლება იყოს ის საკითხი, სადაც ჩვენ შესაძლოა ვიმსჯელოთ რაღაც კომპრომისებზე.

ეს არ იყო ეკონომიკური ბლოკადა, ეს იყო ეკონომიკური შეზღუდვის რეჟიმი. ჩვენ შეიძლება ვიფიქროთ ამ შეზღუდვიდან ნაწილობრივ გამოსვლაზე, თუ რა თქმა უნდა, შემხვედრი ნაბიჯები გადაიდგმება საპირისპირო მხრიდან. 1996 წლიდან არსებული რეჟიმი გულისხმობდა არა მარტო ეკონომიკურ საკითხებს. იქ არის სამხედრო ასპექტები და სხვა ბევრი რამ. ამას ჩვენ ვერ გადავხედავთ. ჩვენ ვერავის მივცემთ უფლებას, რომ რუსეთს ჩვენთან შეუთანხმებლად სამხედრო ურთიერთობები ჰქონდეს სეპარატისტულ რეჟიმთან, მაგრამ არის ისეთი პუნქტები, რომლებიც შეიძლება იყოს განხილვის საგანი.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ რეალურად 1996 წლის ხელშეკრულების ეროზია მოხდა და ამ ხელშეკრულებიდან რუსეთის გასვლამ მას სერიოზული დარტყმა მიაყენა. ასე რომ, ეს შეიძლება იყოს ის სფერო, სადაც ჩვენ და აფხაზებს შეგვიძლია საუბარი.

**კობა ბენდელიანი**

პოზიცია

# ბატონ ბიძინა ივანაშვილის ერთი ქველმოქმედების უნებლიე უცნაურობა

(მესამე გვერდიდან)

„დიდი კაცების“ როლი და ღვაწლი აუწონავ-განუზომელია ყველა ხალხის ისტორიაში, მაგრამ არა გადამწყვეტი. თანაც, არა მგონია, თავად ბიძინა ივანაშვილი უტოლებდეს თავს იმ „დიდ კაცებს“, რომლებსაც ამ სიტყვის მიღმა ვგულისხმობთ ქართველები. მისი უდიდებულესობა ქართველი ერი ნიჭიერი იყო და მომავალშიც იქნება ძლიერი იმით, რასაც ფენინქსისებრი აღდგენა ჰქვია.

რაც შეეხება რამაზ კლიმიაშვილს: მე შარშანდელი ზაფხულიც აქ, საჩხერეში გავატარე და ვარწმუნებ — ბიძინა ივანაშვილია და არა ივანიშვილი. ის მართლაც არსებობს. მის ქველმოქმედებას შარშანვე მივუძღვენი თბილი წერილი. მისი „ვირტუალურობა“ მისივე სურვილის შედეგია., როცა იგი ვერტმფრენით გადაუფრენს საჩხერეს, ადგილობრივები ზეცაში იყურებიან და „შენ იფრინე დიდხანსო“, ლოცავენ. არ არსებობს სუფრა, ჭირის თუ ლხინის, მისი სადღეგრძელო არ შეისვას. ერთი სიტყვით, ვისაც ის წერილი წაუკითხავს, ივანაშვილიფობიას ვერ დამწამებს, უფრო პირიქით, მაგრამ...

**რა მურტალი, ტევადი სიტყვაა ეს „მაგრამ“, ყველაფერს ერთ წამში თავდაყირა დააყენებს**

**სამების ამშენებელი და ათასი სხვა დიდი თუ მცირე ეკლესიის რესტავრატორი...** ერთი სიტყვით, როგორც დიდმა აკაკიმ ბრძანა — „ვინ დასთვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები“. იგივე შეიძლება ითქვას ბატონ ბიძინას კეთილ საქმეთა შესახებ: უფასო სამედიცინო მომსახურება, პრაქტიკულად უფასო გაზი, დენი, ოღონდ მხოლოდ საჩხერლებისთვის. ამან იმ სოფელში, ბჟინევში, სადაც ახლა ვიმყოფები, ანეკდოტური ხასიათი მიიღო. სოფელი, რომელსაც საჩხერის ცენტრიდან 5 კილომეტრში მდებარეობს, რატომღაც 20 თუ 30 კილომეტრში მდებარე ჭიათურის რაიონს ეკუთვნის, სასწრაფო დახმარების მანქანა რომ გამოიძახო, იქვე, საჩხერიდან კი არ ამოვა, ჭიათურიდან უნდა წამოვიდეს. რამდენჯერ გაუმარჯვია ამ უაზრო ბიუროკრატიული კაზუსის გამო სიკვდილს სიცოცხლეზე.

ზემოთ „კომსომოლას“ შევადარე თავი, რადგანაც კი ვთქვი, არ წამიკითხავს-მეთქი, მაგრამ დაახლოებით კი ვხვდები, რა შეიძლება ყოფილიყო დაბეჭდილი „ალიაში“. გიგა ლორთქიფანიძეზე საუბრისას ერთი რამ გამომრჩა. „აქუმ“ უთხრა: ჭორები დადის, რომ...

— არ მაინტერესებს ჭორები! — მკვახედ მოუჭრა ბატონმა გიგამ.

**ჭორაობის მოყვარული არც მე ვარ, მაგრამ რა ვუყო იმ კითხვებს, რომლებიც სწორედ „ჭორების“ გამო გაუჩნდა მოაზროვნე საზოგადოებას და არა იმ გაუთლელ ხეპრეებს, რომლებმაც „აქუ“, ერთადერთი თავისუფალი ტელევიზიის პატრონი, SMS-ბით თუ პირდაპირი ჩართვებით ლამის ჯვარს აცვეს? აქაოდა, როგორ გაბედე, ამ ღმერთკაცის კრიტიკაო (არადა, გაეკრიტიკებინა მაინც. ოქროს შუალედს ეძებდა).**

ივანაშვილმა მთელი საჩხერის რაიონში გაიყვანა გაზი. „ჩემი“ სოფლის მაგალითით ამან, მართლაც, ანეკდოტს ვინ ჩივის, ცინიკური სურათი დახატა: თურმე, ნუ იტყვით და, ამ სოფლის ნახევარი საჩხერეს ეკუთვნის, ნახევარი — ჭიათურას. ჩემი სახლიდან ზუსტად 5 მეტრში გაზის მილი გადის, რომლითაც ჩემი მეზობელი „საჩხერის მოქალაქე“ სარგებლობს, მე კი...

ასეთი „მე კი“ სულ 14 კომლია ამ ერთ ციდა სოფელში. ვის აღარ მიმართა ამ 14 ოჯახმა, იმათ რომ უფასოდ გაუყვანეთ, ჩვენ საკუთარი ხარჯით გაგვაყვანინეთო, მაგრამ ამაოდ.

ამბობენ, ბატონმა ბიძინამ არ იცისო.

ალბათ, ასეც არის, მაგრამ ვისი ბრალია, რომ არ იცის? „ქართუ“ ჯგუფის პრესცენტრის განცხადებაზეც ამას ამბობენ, ალბათ არ იცის ბიძინამო. გაზი იქით იყოს, ზემო იმერელ გლეხს, დავით კლდიაშვილის იმერეთს უარესისთვისაც გაუძლია და უგაზობასაც გაუძლებს, მაგრამ რატომ???

„ქართუს“ პრესსამსახურის განცხადება ივანაშვილის ქველმოქმედება-ავტორიტეტს ამოფარებული პირდაპირი შეტევაა სიტყვის თავისუფლებაზე.

ათასი სამება რომ ააშენოს მავანმა, ეს მაინც არ არის ზეცაში, სასუფეველში შესვლის გარანტია, რადგან იგივე ჩვენი მაცხოვარი იესო ქრისტე ბრძანებს — მდიდარი ისევე ვერ დაიმკვიდრებს სასუფეველს ცათა შინა, როგორც აქლემი ვერ გაძვრება ნემსის ყუნწშიო. მაცხოვრისთვის გლახაკის მიერ შეწირული უკანასკნელი გროში უფრო ფასეულია, ვიდრე მილიარდებიდან გაცემული მილიონები. კრიტიკის მიღმა ამ ქვეყნად მხოლოდ მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტეა. სხვისი ყველასი, თვით ბიძინა ივანაშვილის, კრიტიკაც შეიძლება!

და, რაც მთავარია, „ჭორების“ გამო დაგროვილ კითხვებსაც უნდა გასცეს პასუხი.

თუმცა ამაზე — შემდგომ წერილში.

**დავით მხეიძე**
**29 ივლისი, გამთენია,**
**სოფელი ბჟინევი.**

ინფორმაცია

## რუსეთზე არავითარი მოწოდებები არ მოქმედებს

**ბერლინში დაგეგმილ შეხვედრასთან დაკავშირებით სოხუმისა და მოსკოვის არაკონსტრუქციული პოზიცია დასავლეთისა და აშშ-სთვის აფხაზეთში არსებული სამშვიდობო ფორმატის შეცვლის მკაფიო მიზეზი უნდა გახდეს.**

**ამის შესახებ პოლიტოლოგმა სოსო ცისკარიშვილმა განაცხადა.**

**მისივე აზრით, ბერლინის შეხვედრაზე დასავლეთი და აშშ კიდევ ერთხელ დარწმუნდებიან, რომ რუსეთზე მოწოდებები არ მოქმედებს, ამიტომ დასავლეთმა და აშშ-მ უნდა მოძებნონ რესურსი და კოდორის ხეობაში ქართული მხარის თანხმობით უნდა შეიყვანონ საერთაშორისო პოლიციის 200-კაციანი ქვედანაყოფი, რომელიც რეგიონში, რუსი სამშვიდობეობისგან განსხვავებით, უსაფრთხოების რეალური გარანტი იქნება.**

**ცისკარიშვილის შეფასებით, დასავლეთის მხრიდან ამგვარი კონკრეტული ნაბიჯის გადადგმა რუსეთისთვის იმის ნიშანი იქნება, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების გზა, რეალურად, არა მოსკოვზე, არამედ ევროპასა და ევროპულ სტრუქტურებზე გადის.**

**სოსო ცისკარიშვილი დარწმუნებულია, რომ ბერლინის შეხვედრას აფხაზური და რუსული მხარეების „რეპერტუარის“ მთავარი თემა კვლავ კოდორის ხეობიდან ქართული შენაერთების გაყვანისა და ქართული მხარის მიერ ცეცხლის განუახლებლობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერა იქნება.**

**მისივე თქმით, ბერლინში მოსკოვიც და სოხუმიც ქართული მხრიდან საომარი მოქმედებების დაწყების ალბათობის თემით დასავლეთის დაშანტაჟებას შეეცდებიან.**

**მაშინ, როცა აფხაზეთში სამხედრო ხიფათს ქართული და აფხაზური შენაერთები კი არა, კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსული ქვედანაყოფები წარმოადგენენ, გაუგებარია იმაზე საუბარი, რომ ცეცხლის განუახლებლობის შესახებ ხელშეკრულებას რატომ უნდა მოაწეროს ხელი ქართულმა მხარემ, — აღნიშნავს პოლიტოლოგი სოსო ცისკარიშვილი.**

ინტერპრესნიუსი

სიუხვის წყარო

# სასწაული „ყვავით დაჩრდილულ ვენახში“

## პროფესორ რამაზ გახოკიძის ახალი მეთოდი

**„ვინც შეძლებს ორი თავთავისა და ორი ბალახის ღეროს მოიყვანს იქ, სადაც მანამდე ერთი თავთავი და ერთი ბალახის ღერო ხარობდა, კაცობრიობის მადლობას დაიმსახურებს“, — ჯონათან სვიფტის ეს სიტყვები წაუმძღვარებია სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, პროფესორ რამაზ გახოკიძეს თავისი ახალი წიგნისათვის „უხვი მოსავლის საწინდარი“.** ეს სიტყვები სწორედაც რომ თამამად ითქმის თავად წიგნის ავტორზე, ვინც საფუძველი ჩაუყარა ახალ სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმართულებას — აგროსამედიცინო ტექნოლოგიებს, რომლებიც ეკოლოგიურად სუფთა და მაღალი ხარისხის მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა.

მან ახალი სამეცნიერო დისციპლინის — აგრობიოორგანული ქიმიის საფუძველზე დაამუშავა მცენარეული უჯრედის მართვის — თვითორგანიზაციის გზები, რაც ორგანიზმის პოტენციურ შესაძლებლობებს მაქსიმალურად გამოავლენს, შექმნა ბიოენერგოაქტივატორები, რომლებსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვთ.

რამაზ გახოკიძის ამ მიღწევამ აღაფრთოვანა მწერალი ოტია იოსელიანი, ვინც მეცნიერის ახალი მეთოდის შედეგით გაოცებული კითხულობს, ამ უმზეოზე ეს ვენახი როგორ დამწიფდაო?

**„ეს რომ კახეთის ველზე მომხდარიყო, დავიჯერებდი. მაგრამ აქ, სადაც ვაზს არავითარი პირობა არა აქვს, რაც ვენახს სჭირდება, ყვავიც ჩრდილავს ვენახს, არც დილას ადგება მზე და არც საღამოს, ფოთლები ბრწყინავს და ვაზი ნაყოფით დატვირთულია... ეს ვენახი ათჯერ მეტ მოსავალს მოგვცემს, ამ მიწის პატრონს როგორ უნდა უჭირდეს? სასწაული სწორედ ეს არის“,** — წერს ოტია იოსელიანი რამაზ გახოკიძის ახალი მეთოდით გაშენებულ ვენახზე. ახალი ტიპის უნივერსალურ რეგულატორებს — ბიოენერგოაქტივატორებს — ბიორაგს, ბიორამს, რაგოზანს, რაგოცინს მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვებათ. ისინი გარემოს დაუბინძურებლად ბიოლოგიურად სუფთა მოსავლის საშუალებას გვაძლევენ, რაც ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა კაცობრიობის გადასარჩენად.

რამაზ გახოკიძის ახალი წიგნიც „უხვი მოსავლის საწინდარი“ სწორედ ამ ახალი მეთოდის ეფექტურობაზე მოგვითხრობს.

ცნობისათვის: რამაზ გახოკიძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის გამგეა, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ამერიკისა და ევროპის სამეცნიერო საზოგადოების წევრი, რამდენიმე აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, მელიქიშვილის პრემიის ლაურეატი, საქართველოსა და ამერიკის ღირსების ორდენის მფლობელი, 500-მდე სამეცნიერო ნაშრომის, სახელმძღვანელოს, მონოგრაფიისა და გამოგონების ავტორია მეცნიერების სხვადასხვა დარგში.




**თამარ შაიშმელაშვილი**

# გონების ძალით და ენერგიით

**ბატონ რამაზ გახოკიძის შესანიშნავ წიგნში „უხვი მოსავლის საწინდარი“, რომელიც ახლახან გამოქვეყნდა, მრავალი გამოჩენილი მეცნიერი ხოტბას ასხამს წიგნის ავტორს და მის გამოგონება-აღმოჩენას დიდად აფასებს.**

ბიოენერგოაქტივატორი, რომელიც ბატონმა რამაზმა შექმნა, სასწაულებს ახდენს, შინაგანი ენერგიით კვაზარების მსგავსია. მცენარის ფესვები უდაბნოში მოხვედრილი ადამიანივით ეწაფება ამ ენერგიას და მხოლოდ წყურვილს კი არ იკლავს, არამედ სრულიად ახალი ძალა, ენერგია და სიცოცხლისადმი გამოუცნობი ლტოლვა ეუფლება.

მე კმაყოფილი ვარ, რომ ბატონ რამაზ გახოკიძის მიერ შექმნილი, ბიოენერგოაქტივატორების ენერგიის ზემოქმედების მიზნით, სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოორგანული ქიმიის კათედრის ლაბორატორიაში ფიჭვის ხის წლიური ნაზარდის სიმაღლეზე, სიმსხოზე, მოცულობაზე და მასაზე ზრდის ენერგიის განმსაზღვრელი ფორმულა e=vam გამოიყენეს და დაადგინეს, რომ პრეპარატის ზემოქმედებით სიმინდის, ხორბლის, ლობიოს და სოიოს სიმაღლეზე ზრდის ენერგია დაუმუშავებელ (საკონტროლოძ ვარიანტთან შედარებით საშუალოდ 6-ჯერ იზრდება.

ამ ფორმულის გამოყენებით, ასევე, შესაძლებელია დავადგინოთ თითოეული მარცვლის მასაზე (ასევე, ხეხილის ნაყოფისძ ზრდის ენერგიაც.

**მიგვაჩნია ისიც, რომ შესაძლებელია ბუნებაში არსებული სხეულის, საგნის ან თვით სინათლის სხივის მასის ენერგიის დადგენაც და ატომში არსებული ელექტრონის მასის ენერგიის განსაზღვრაც. ამას იმიტომ ვამბობ, რომ მინდა გავიგო არა მარტო ბიოენერგოაქტივატორის ზემოქმედების შედეგად მცენარეულზე გამოვლენილი ენერგიის შედეგი, არამედ ჩავწვდეთ თვით არსებული ენერგიის საიდუმლოებასაც. თუმცა ნივთიერებაში არსებულ ფარულ იდუმალებას ბატონი რამაზ გახოკიძე კარგა ხანია ჩასწვდა.**

გონებით ჩასწვდა, მუსიკალური შეგრძნებით ჩასწვდა, დაუღალავი შრომით ჩასწვდა.

**რევაზ გოცირიძე,**
**ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №122



# ელიტარული ჟარგონი

## „რა ენა ღუღუნებს, ეშიტ ღაღადებს“...

**თითქმის ორი საუკუნის წინათ დაწერილი, მშობლიური ენის ბედზე დაფიქრებული პოეტის ეს უზუსტესი ფორმულირება დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მაგრამ ამგვარი ბრძნული აზრები უკვე შესაბამის მოქმედებას თხოულობს... ყველაზე ამაღლებული სიტყვებიც კი მხოლოდ სიტყვებად რჩება, თუ რაიმე არ ვიღონეთ...**

საუკუნეების მანძილზე, პირდაპირი თუ ფარული მტრები, სხვადასხვა მეთოდებით ცდილობდნენ ქართველ ხალხში ჩაეხშოთ ენის, მამულის და სარწმუნოების სიყვარული... ისტორიას ახსოვს ძალადობასთან დაპირისპირებული გმირების ზნეობრივი მაგალითები...

დღეს თითქოს, მსხვერპლის გაღება საჭირო აღარ არის, მაგრამ საკუთარ ჩვევებთან თუ მიდრეკილებებთან ბრძოლა ნამდვილად დაგვჭირდება. როგორც ჩანს, მტერს კი არა, უპირველესად საკუთარ თავს უნდა აჯობო...

XVIII-XIX საუკუნეში, ისევე როგორც რუსეთში, საქართველოს დიდგვაროვან და შეძლებულ, არისტოკრატიულ ოჯახებში გავრცელებული იყო ფრანგულ ენაზე მეტყველება.

ჟამთა მსვლელობამ ჩვენს სამშობლოში ფრანგულ ენას რუსული ჩაუნაცვლა, რუსულს – ინგლისური და ა. შ.

ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა დიდი ზეიმით და ქუჩებში ხალხმრავალი დემონსტრაციებით აღვნიშნეთ ქართული ენის დამტკიცება სახელმწიფო ენად... რას ემსახურებოდა ეს მართლაც, გულწრფელი სახალხო დღესასწაული, თუკი მშობლიურ ენაში უცხო სიტყვებს ცნობიერად თუ ქვეცნობიერად დიდი დოზით შემოვიტანდით...

რა თქმა უნდა, დიდებულია, როცა ქართველობა რამდენიმე უცხო ენას ფლობს, მაგრამ მშობლიური ენისადმი გულგრილობა და უპატივცემულობა ნამდვილად არ ნიშნავს ელიტარულობას და კარგ ტონს.

* * *

ინგლისურენოვანი სიტყვებისა და ამერიკული ჟარგონის პარალელურად, **ჩვენს მეტყველებაში უჩვეულოდ დამკვიდრდა ფრანგული ინტონაცია.**

ჩვენი მშობლიური ენა, ჩვენივე ნებით, ვფიქრობ, სრულიად გაუთვალისწინებლად მივუსადაგეთ ფრანგულ ენას.

**ფრანგული მეტყველების ერთ-ერთი პუნქტი – აქცენტი, მისი გამომსახველობის (ჟღერადობის) ძირითადი თვისებაა და მისი გადმოტანა ქართულ სასაუბრო ენაში ყოვლად დაუშვებელია.**

ქართული წინადადება უნდა ამეტყველდეს ისე, როგორც წერია. არ ჭირდება ხელოვნური შელამაზება-შეჩუქურთმება.

**ფრანგული სუნამოებით შელამაზებულ ქართულ მეტყველებას ეკარგება აზრი, არ ჩანს მიზანსწრაფვა, გულწრფელობა, დამაჯერებლობა. იგი ჟღერს უფრო ზერელედ, უპასუხისმგებლოდ, უმეტეს შემთხვევაში, გაუგებრად. ასე წარმოთქმული სიტყვები თუ წინადადებები მსმენელზე ზემოქმედებას ვერ ახდენს...**

**ავად თუ კარგად, ჩვენ შემოგვრჩა ქალაქური ჟარგონი, ქუჩის ჟარგონი და ვაითუ, დღეს ახალი მიმდინარეობა მკვიდრდება ქართულ მეტყველებაში – „ელიტარული ჟარგონი“.**

ვეცდებით ინტონაციის პრობლემები წერილობით ჩამოვაყალიბოთ.

თავდაპირველად, გთხოვთ, ყურადღება მივაპყროთ როგორ მეტყველებს ქართულად უცხოელი ქართველოლოგი. გასაკვირი ისაა, თუ როგორ გაუმჯობესდა მისი ქართული აქცენტი და ინტონაციები.

ახლა, როგორ ვმეტყველებთ ჩვენ. მაგალითად, „ხვალ, არ გამოვალ სიტყვით!“ აქ აზრობრივად ყველასთვის ნათელია, რისი თქმაც სურთ, მაგრამ რატომღაც, ყოველთვის, ინტონაციური მახვილი ეცემა ბოლო სიტყვას, რაც ზოგადად დაუშვებელია, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა. ნათქვამის მეტი დამაჯერებლობისთვის, პრინციპულობის გამოხატვისთვის თუ კატეგორიულობისთვის, წინადადებაში უნდა ვიპოვოთ აზრის გამაძლიერებელი სიტყვა ან სიტყვები და სწორედ მათ უნდა გაუკეთდეს მახვილი შესაბამისი ხმით და ემოციური შეფერილობით.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ზემოთ მოყვანილ წინადადებაში ასეთი სიტყვაა – „არ“. ამოიღეთ ამ წინადადებიდან „არ“ და მივიღებთ სრულიად აზრშეცვლილ ფრაზას „ხვალ გამოვალ სიტყვით“.

ბოლო სიტყვა ვერაფრით გაიჟღერებს, როგორც მთავარი და არსებითი, თუ წინა სიტყვაა აზრობრივად გამოკვეთილი და აქცენტირებული.

როგორ და რატომ „ვალამაზებთ“ ქართულ წინადადებას და სიტყვას და მას არასასურველ ხელოვნურობას ვანიჭებთ? საილუსტრაციოდ ნებისმიერი სატელევიზიო არხის გადაცემებს, თუნდაც, ბოლოდროინდელ საარქივო მასალას მოვუსმინოთ და ალბათ დაეჭვებულნი ჩვენი განწყობილებების მართებულობაში სათანადო დასკვნებს გამოიტანენ.

ავიღოთ რიგითი წინადადება: „დღეს ჩვენი პრესკონფერენცია ძალზე მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი გამოდგა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ მის ორგანიზატორებს“.

ქართველი ადამიანისთვის არ უნდა იყოს რთული წარმოთქვას სიტყვა ისე, როგორც წერია, მაგრად ისმის, როგორც სატელევიზიო არხების თანამშრომლების, ასევე მიწვეული სტუმრებისგანაც.

ქართული ენა, თავისი ბუნებით, გახლავთ დინჯი, ბრძნული და დარბაისლური. ქართული ენა განსხვავებულია სწრაფმეტყველი ესპანური, იტალიური, ინგლისური ენებისაგან.

აუცილებლად ყურადღების მისაქცევია მეტყველების იმგვარი ფორმა, **როდესაც მოსაუბრე ერთ გარკვეულ ტონალობაზე იწყებს საუბარს და ბოლომდე ამავე ტონალობით ასრულებს.**

წარმოიდგინეთ, როგორი ძნელი იქნება ამის მოსმენა, თუნდაც ხუთი წუთი გრძელდებოდეს. **ასეთ მეტყველებას შეიძლება ვუწოდოთ რობოტისეული. არც მძიმე, არც წერტილი, არავითარი სასვენი ნიშანი, როგორც აზრის გამოკვეთის ემოციური მუხტი...**

ვისაც მეტყველების „გალამაზების“ სენი შეჰყრია, თითქმის ყველას ვიცნობ და მათი სახელობითი წარმოჩინება არ უნდა იყოს საჭირო...

* * *

რთული წინადადების წარმოთქმა არ შეიძლება დაჩეხილი სახით. უნდა წარმოითქვას პარალელურად, ერთის მეორის მიყოლებით, ყოველგვარი შელამაზებისა და წამღერების გარეშე.

მახსოვს, ბუმბერაზი პედაგოგი **მალიკო მრევლიშვილი** მკაცრად მიგვითითებდა: „ნუ ჩეხავ წინადადებას! რას გავს ეს! თითქოს თოხარიკ ცხენზე ხარ ამხედრებული და ნაგლეჯ-ნაგლეჯ ისვრი სიტყვებს!“...

სამწუხაროდ, მსგავსი ეპითეტის შესატყვისი მეტყველება დღეს ხში-

რამ არა!.. მოსაუბრე ცდილობს სხვაგვარად, მისი აზრით, უფრო „ხატოვნად“ წარმოაჩინოს, „ლამაზად“ წარმოთქვას. კერძოდ, ასე: „დღეეეს ჩვენიი პრესკონფერენციააა ძალზეეე მნიშვნელოვანიიი და ნაყოფიერიიი გამოდგააა, რისთვისაააც მადლობააას მოვახსენეეებთ მის ორგანიზატორეებს“...

ნუ გაიკვირვებთ, პატივცემულნო. კვლავ შეგახსენებთ, მოისმინეთ ჩანაწერები და ამ ყველაფერს თავად გაიგებთ...



თუ სურთ, თავადაც შესანიშნავად გაერკვევიან.

პირადად მე მჯერა, რომ ჩვენი ენა ისევ მოლონიერდება. ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ქართულ ენაზე ჯანსაღად მეტყველი პიროვნებები...

**არის შემთხვევებიც, როდესაც ადამიანები ჩვეულებრივ, ურთიერთშორის ნორმალურად მეტყველებენ, მაგრამ საკმარისია, მათ წინ გაჩნდეს მიკროფონი ან ტელეკამერა და იმწამსვე იწყებენ გარდასახვას, „ეკრანზე მიღებული“ „შელამაზებული“ მეტყველებით საუბარს...**

სამწუხაროა, რომ მაყურებელთაგან (განსაკუთრებით ახალგაზრდობამ) უკვე საკმაო რაოდენობამ, მოსმენით შეითვისა ეს **„ახლებური“** მეტყველება...

ჩვილი ბავშვი, აკვნიდან მოყოლებული, მოსმენით ითვისებს მშობლების შეთავაზებულ სამეტყველო კულტურას.

**აშკარად ჩანს, ქართველ ჟურნალისტთა რესპონდენტებმა არამცთუ უცბად აითვისეს „ახლებური“ ინტონაციები, არამედ უფრო განავითარეს ეს სიტყვათა „შელამაზება“ და წამღერებით ახერხებენ სერიოზულ საკითხებზე თხრობას.**

* * *

ქალბატონებო და ბატონებო, სატელევიზიო არხების და რადიოეთერის წამყვანებო, კორესპონდენტებო, კომენტატორებო, ჟურნალისტებო, გთხოვთ, მაპატიოთ პირდაპირობა და გულახდილობა, რამეთუ ამ თემაზე გულგრილად გაჩუმება არ ძალმიძს.

შეგახსენებთ, რომ დღეს ქართულ მეტყველებას ესაჭიროება შველა! თქვენი პროფესიონალიზმი შეიძლება გმირობის ტოლფასი გახდეს.

**თქვენ შეგიძლიათ ერს შეუნარჩუნოთ ენა! დავიბრუნოთ ჩვენი მშობლიური, ქართული ინტონაცია!..**

ზემოთ ნათქვამი იქნებ ზოგმა ირწმუნოს, იქნებ ზოგიც დაეჭვდეს... მაგრამ მთავარი პასუხისმგებლობა მაინც ჟურნალისტებმა, სატელევიზიო არხების და რადიოსტუდიების თანამშრომლებმა უნდა იკისრონ. ახალი კარგია, როცა ძველს სჯობს, მაგრამ ყოველთვის ასე არ არის. აუცილებელია ძველი, გამოცდილი, მცოდნე სპეციალისტების, პროფესიონალების მოწვევა.

მერწმუნეთ, მათი გამოცდილება უთუოდ სწორად წარმართავს, უკეთესობისკენ შემოაბრუნებს ქართულად მეტყველების თქვენეულ პრაქტიკას.

ტრადიციის გათვალისწინების გარეშე არ იქმნება მნიშვნელოვანი და საინტერესო ნოვაციები...

ამ თვალსაზრისით, ჩვენს ქვეყანაში არსებობს არაერთგზის აპრობირებული, უკვე სკოლადქცეული, ტელერადიო მუშაკთა ესოდენ ღირებული გამოცდილება და კულტურა.

როგორ შეიძლება გვყავდეს რადიოსა და ტელევიზიის გამოცდილი დიდოსტატი **დავით სოკოლოვი** და რჩევა არ ვკითხოთ მას. კი, ბატონო, თუ ამ ფორმის არ გსურთ ცოდნის გაზიარება, მაშინ ნახეთ მაინც და მოუსმინეთ მის მიერ ჩაწერილ სარეკლამო მასალას, რომელიც პრეპარატ „სალხინოს" ეხება.

არავითარ შემთხვევაში არ შეილახება რომელიმე თქვენგანის თავმოყვარეობა და იმიჯი, თუკი მიმართავთ სახელოვან და გამობრძმედილ პროფესიონალებს: **ქალბატონ ჯულიეტა ვაშაყმაძეს, ქალბატონ თინათინ ელბაქიძეს, ქალბატონ ჟანეტა არჩვაძეს, ქალბატონ დონარა კინწურაშვილს, კომენტატორ ჯამლეტ ხუხაშვილს, ბატონ გივი ქოჩლაძეს... ქართული ენისა და მეტყველების სიწმინდის ერთ-ერთ დამცველს, დიდებულ სპეციალისტს — ბატონ ზურაბ კანდელაკს.**

თქვენ მილიონები გისმენთ და გიყურებთ. აკვირდებიან თქვენი საუბრის სტილს, ინტონაციას.

თქვენს არხებზე ბევრი ფორმით და შინაარსით საინტერესო გადაცემები კეთდება, მაგრამ აუცილებლად გამოსასწორებელია რიგ წამყვანთა, ჟურნალისტთა თუ კომენტატორთა ქართული მეტყველების წიაღში დაშვებული ხარვეზები.

**ყველამ ერთად ვიზრუნოთ, რომ ტელემაყურებელს და რადიომსმენელს დავუბრუნოთ მშობლიური ენის თავისებურებაზე გათვალისწინებული, გამართული, ჩვეული, ბუნებრივი მეტყველება.**

* * *

კიდევ ორიოდე მოსაზრება, რასაც იმედია, დიდაქტიკად არ ჩამითვლით: შინ და გარეთ ვისმენთ: „ვიძახი, ვიძახდი, იძახის, იძახდა, იძახდნენ..."

ძახილი ხომ საჭიროა აუცილებლობისას, თუნდაც, ტყეში, მთებში, გზის აბნევის გამო ან შველის სათხოვნელად ზღვასა და მდინარეში, ან თუნდაც, ასკაციანი სუფრის თავში (უმიკროფონოდ) თამადობისას...

ძახილი უნდა შეიცვალოს: ვამბობ, ვამბობდი, ვიტყვი, ვსაუბრობ, ვლაპარაკობ, მოგახსენებთ, მოგმართავთ და ა.შ.

ყველასთვის ცნობილია, თუ რას ესადაგება სიტყვა „მაგარი". იმის ნაცვლად, რომ სამეტყველო სიტყვათა მარაგი იყოს შესატყვისობით ზუსტი, ჩვენ რატომღაც „მაგარი" ჟარგონთა ლექსიკონიდან გადმოგვაქვს. დავფიქრდეთ, შეიძლება ყველაფერი „მაგარი" იყოს? „მაგარიაო სნიკერსი". ესე იგი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სნიკერსი კარგია? თუ ის მაგარია, მაშინ სტომატოლოგიურ კაბინეტებში რიგები გაჩნდება... მაგარია კბილის ჯაგრისი? არა მგონია, მაგარი ჯაგრისი, მაპატიეთ და, ღრძილებს უხდებოდეს. მაგარია ჩვენი ჩემპიონი მოჭიდავე? იქნებ ძლიერი და ღონიერია. ჯვრისწერისას ხშირად მესმის ხოლმე: „როგორ მოგწონთ ჩვენი ნეფე-დედოფალი? ხომ მაგარია?" იქნებ ჯობდეს: შესანიშნავია, დიდებულია, ბრწყინვალეა და ა.შ. რეკლამის დამკვეთებმაც უნდა იცოდნენ, თუ მათი სარეკლამო ნიმუში მართლა მაგარი არ არის, გვაცნობონ, რით არის მოსაწონი.

ხშირად ვისმენთ კორესპოდენტების შეკითხვაზე რესპოდენტების პასუხებს, რომლებიც გადამეტებული „შელამაზებით" მეტყველებენ. მრავალჯერ მიმართავენ უკვე მოდადქცეულ **„რა ვიცის"**. ამის გამო რესპონდენტის პასუხი ბუნდოვნად და გაუგებრად აღიქმება.

**გულდასაწყვეტია და საშიში, როცა თანდათანობით, თითქმის შეუმჩნევლად, ახალგაზრდობაში ხდება მშობლიური ენის უგულებელყოფა. ყველას გვახსოვს ქალაქში ბევრი სახლის თუ ეზოს კარებზე, კედლებზე, სადარბაზოებში ცარცით თუ საღებავით შესრულებული ქართული წარწერები: მაგალითად, „ეკა+ნინო=მეგობრებს"... და უამრავი ამგვარი... დღეს კი ქართული წარწერები გამქრალია და ყველგან მხოლოდ უცხოურ ენაზეა იგივე შინაარსის ტექსტები. რა თქმა უნდა, ერთსა და მეორე შემთხვევაშიც ქალაქის სახლების იერ-სახე ზარალდება, მაგრამ ქართული წარწერა რომ გაქრა, მაინც გული დამწყდა...**

რევაზ თავართქილაძე

# ქართული ალბომი



**როგორც ყველა ტრადიციული ოჯახი, თითქოს ჩვეულებრივნიც არიან და არაჩვეულებრივნიც. ერთსულოვანი სურვილის მიღმა რომ მათი ჯგუფური პორტრეტი შთამომავლობისთვის აღიბეჭდოს, თითოეულის უკან რთული და არაერთმნიშვნელოვანი ბიოგრაფიაა.**

ზევით, **მე-3 რიგი,** დგანან: ნატა ბერიძე, ქაიხოსრო ქავთარაძე, მისი მეუღლე ოლია გაბიტაშვილი, დისშვილი, ოფიცერი ლავრენტი ბერიძე (დაღუპულია პირველ მსოფლიო ომის დროს ქ. იასში, რუმინეთი), ქეთევან გაბიტაშვილი.

მე-2 რიგი, სხედან: ნინა ბერიძე-შათირიშვილისა, ეკატერინე გოგოლაძე-გაბიტაშვილისა, კალთაში — პატარა მარიამ ქავთარაძე, სონია გაბიტაშვილი-ბერიძისა, პატარა **ლიზიკო ქავთარაძე,** რომელიც მრავალი წლის მერე, პატიმრობისას, მეტეხის ციხის საკანში, მამის **ქაიხოსრო ქავთარაძის** საკნის კედელზე დატოვებულ წარწერას წააწყდება... ბატონი ქაიხოსრო რუსეთის სხვადასხვა ციხეებში გამოვლილი პიროვნება გახლდათ. აგრეთვე ის იყო ილია ჭავჭავაძესთან დაახლოებული პირი, შემდგომ კი მისი დამკრძალავი კომისიის წევრი. წიწამურის ტრაგედიის შემდეგ ქაიხოსრო ქავთარაძის მეურვეობის ქვეშ იყო ილიას არქივი და სახლი თბილისში, სადაც გაიზარდნენ მისი შვილებიც...

**პირველი რიგი:** შურა ბერიძე, ილიკო ბერიძე, შალვა კანდელაკი (ქ. ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, დასმენით მოკლულია), ლეო კანდელაკი.

დეკანოზმა ი. ბერიძემ კუკიაზე დააარსა წმინდა ნინოს ეკლესია, ააშენა გალავანი და მის ირგვლივ შენობა-ნაგებობანი. დაჯილდოებულია ოქროს ჯვრით.

შალვა კანდელაკი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი, დაიჭრა მუცლის არეში, ვენახში. დაჭრილს წყურვილი აწუხებდა და იქვე მოხუც ქალბატონს სთხოვა ჭიქა წყალი. დედაკაცმა შალვა დააბეზღა „სათანადო ორგანოებში". მოვარდა დამსჯელი რაზმი, დააგდეს შალვა ურემზე, წაიყვანეს, რათა შემდგომ წამებით გამოეტეხათ. გზაში მამის (ბენიამინის) ნაცნობმა ქილა მაწონი მიაწოდა. შალვამ მოახერხა ქილის გატეხა და ნამსხვრევები ჭრილობაში ჩაიყარა. გზაში დალია სული, „სჯობს სიცოცხლესა ნაქრახსაო"...

ასე აღასრულა ვალი 19 წლის შალვამ სამშობლოს წინაშე...

**შთამომავლები დღეს სიამაყის გრძნობით უმზერენ და იგონებენ ამ ფოტოზე აღბეჭდილ საოჯახო საგას...**

**ალბათ ამავე გრძნობით აღივსებიან დიდი ხნის მერეც, მათი შორეულზე შორეული შთამომავლებიც...**



ეს ფოტო 1956 წლის 2 სექტემბერსაა გადაღებული. წინა დღეს თბილისში **სამხრეთ ოსეთის მხატვართა** ნამუშევრების გამოფენა გახსნილა.

**გალაკტიონ ტაბიძე გალერეაში, როგორც ჩანს, მეორე დღესაც მისულა და დეტალურად დაუთვალიერებია ოს მხატვართა ფერწერული ნამუშევრები. ხელთ მისი განუყრელი ჩანთა უპყრია, რომელიც მუდამ საკუთარი ხელნაწერებით თუ სტამბიდან წაღებული ანაბეჭდებით ჰქონდა სავსე.**

**თეთრი ტილოს კიტელიც საკმაოდ შელახული აცვია. შესაძლოა, გალერეაში შესვლამდე სადღაც ბევრი იარა. იქნებ დაღლილია კიდეც, შუბლი ღრმად დანაოჭებული აქვს. თავისი მზერა დაღლილი, მაგრამ ძალიან ყურადღებიანი, მზის ჩასვლის პეიზაჟისკენ აქვს მიპყრობილი. 1956 წელია. გალაკტიონი მალე ამ ქვეყნად აღარ იქნება...**

„ქვეყანა დაკარგული საფლავებისა" — ამ სათაურის ქვეშ ყოფილი პოლიტპატიმარი **ელისაბედ ქავთარაძე** კოქჩეტავის აეროდრომზე, დაგვიანებული თვითმფრინავის მომლოდინე მგზავრთა საუბრის ეპიზოდს აღწერს:

ვილაცამ შემთხვევით **საქართველო** ახსენა და თითქოს, სანატრელი რამ გაიგონაო, სახე გაუბრწყინდა მათ ერთ-ერთ თანამგზავრს.

***— „წარმოშობით ოსი გახლავართ, ჩრდილო ოსეთიდან — ჩვენს ოჯახში დღესაც ინახება ვერცხლის აზარფეშა, რომელიც თავისი ხელით, მეფე ერეკლეს უბოძებია ჩემი წინაპრისათვის. პაპისგან გამიგონია — საქართველო ღვთის წალკოტია და ქართველები ღვთის შვილებიო"...***

*ცრემლები წამომცვივდა. აღელვებული მგზავრი ჩემკენ გამოეშურა — რამ შეგაწუხათო, — მეკითხებოდა.*

*ცრემლის უცაბედობით შეცბუნებულმა ავუხსენი, რომ ქართველი ვარ. ის დაიხარა და გულათრთოლებული მოწიწებით მაკოცა ხელზე. თითქოს ქართველობა საკმარისი საბუთი იყო მოკრძალებული პატივისცემისთვის"...*

ოსისა და ქართველის ამ შეხვედრიდან დაახლოებით ერთი საუკუნე გავიდა. დღეს ოსებს საქართველოდან იზოლაცია და რუსეთის ფედერაციაში შესვლა სურთ. მიზეზ-შედეგობრივი კავშირები ერთი შეხედვით, რთულიცაა და მარტივიც, მოსალოდნელი და მოულოდნელიც...

**არავინ იცის, ამ სამწუხარო პერსპექტივას წარმოიდგენდა თუ არა გალაკტიონი, როცა ოსი მხატვრის მიერ შესრულებულ ჩამავალი მზის პეიზაჟს ჭვრეტდა...**



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მხარდაჭერა აღიარების გარეშე

**ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სამეტაპიანი მოწესრიგების გერმანული გეგმა ჯერჯერობით ინარჩუნებს აქტუალობას. მოსკოვი, როგორც მინიმუმი, მზად არის მის განსახილველად.**

ეს გეგმა განსხვავდება ამერიკულისაგან, რომელიც ამასწინათ თბილისში კონდოლიზა რაისმა ჩამოიტანა. მისი წინადადება, შეეცვალათ რუსი სამშვიდობოები საერთაშორისო ძალებით, მოსკოვმა კატეგორიულად უარყო. სხვათა შორის, გერმანელთა გეგმაშიც მოსკოვს ყველაფერი არ აძლევს ხელს. ვთქვათ, დასახელებულია „აბსოლუტურად რეალური“ მცდელობა ძალის გამოუყენებლობისა და ლტოლვილთა დაბრუნების შესახებ ხელმოწერასთან დაკავშირებით. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის სერგეი ლავროვის აზრით, ჯერ უნდა მივაღწიოთ „სიტუაციის დამშვიდებას“. ამას გარდა მოსკოვი დაჟინებით მოითხოვს საქართველოს ჯარების გამოყვანას კოდორის ხეობიდან. მაგრამ თბილისს ამის გაგონებაც არ სურს. რაც შეეხება სოხუმს, იგი, თავის მხრივ, არ ეთანხმება მოწესრიგების მესამე ეტაპს, რომელიც ითვალისწინებს მოლაპარაკებას აფხაზეთის სტატუსის შესახებ. „ჩვენი რესპუბლიკის სტატუსი, – განაცხადა აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ, – არ არის მოლაპარაკების საგანი“.

ერთი სიტყვით, აფხაზეთი რჩება რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ომის მოედნად. რუსეთის თავდაცვის სამინისტრო აცხადებს: „ქართული მხრიდან ჯარების დაჯგუფებათა გაზრდა უშუალოდ კონფლიქტის ზონის მახლობლად, სამხედრო ძალების გამოყენების მუქარა, რაც გაძლიერდა უკანასკნელ პერიოდში, არის საქართველოს ხელისუფალთა პროვოკაცია და გვაიძულებს გავზარდოთ სამშვიდობო კონტინგენტი იმ რიცხოვნობამდე, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო დონეზე მიღებული ხელშეკრულებებით“. ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვი პირდაპირ იუწყება, რომ საჭიროების შემთხვევაში რუსეთი დაიცავს თავის მოქალაქეებს, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ, მათ შორის სამხედრო მეთოდებითაც. რუსი სამშვიდობოების დამატებითი კონტინგენტი განთავსდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მთელი მსოფლიოს გასაგონად გაჰყვირის, რომ რუსეთი „ჩვენი ტერიტორიების ანექსიის პოლიტიკიდან გადადის პირდაპირი სამხედრო აგრესიის პოლიტიკაზე“.

ექსპერტები კი ორივე მხრიდან მთელი სერიოზულობით განიხილავენ: შესაძლებელია თუ არა ომი?

ომამდე, რასაკვირველია, საქმე არ მივა. მაგრამ მხოლოდ დიპლომატიური კანონადებითაც საქმე არ გადაიჭრება. საქართველოს, როგორც მინიმუმი, ეკონომიკური დარტყმა შეუძლია მიაყენოს რუსეთს. თბილისმა უკვე დაბლოკა მოსკოვთან მოლაპარაკება რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შესვლასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ მოლაპარაკებათა განახლება შეიძლება მხოლოდ ერთი პირობით – თუ რუსეთი გააუქმებს გადაწყვეტილებას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ეკონომიკური კავშირების განვითარების შესახებ. ამის დამატებით საქართველოს განზრახული აქვს დაიწყოს სისხლის სამართლის გამოძიება რუსი ბიზნესმენების მიმართ, რომლებიც თანამშრომლობენ სეპარატისტულ რეჟიმებთან. რუსეთმა საპასუხოდ განაცხადა, რომ ამგვარი მოთხოვნები ატარებენ პოლიტიკურ ხასიათს და მათ არავითარი ურთიერთობა არ გააჩნიათ არც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ნორმებთან, არც, საერთოდ, ეკონომიკურ საკითხებთან.

გადაწყვეტილება აფხაზეთთან კავშირების აღდგენის შესახებ მიღებული იქნა სოჭთან მისი მეზობლობის გათვალისწინებით. ულიარებელი რესპუბლიკის მიწის, სამშენებლო რესურსებმაც აქ შეასრულეს თავისი როლი. ბლოკადის რეჟიმიდან გამოსასვლელად მოსკოვმა შესაძლებელი გახდა გამოიყენოს ეს რესურსები საქართველოსთან შეუთანხმებლად. სიმართლე რომ ითქვას, რეალური ბლოკადა არც ყოფილა: აფხაზური მანდარინი და ხურმა დაუბრკოლებლივ შედიოდა რუსეთის დახლზე. ახლა კი უკვე აწეულია „შლაგბაუმები“.



რუსეთი გამოვიდა აფხაზეთის წინააღმდეგ სანქციის რეჟიმიდან. მან მოხსნა აკრძალვა სავაჭრო-ეკონომიკურ, საფინანსო, სატრანსპორტო და სხვა კავშირებზე ულიარებელ რესპუბლიკებთან. „ეს გადაწყვეტილება გაუადვილებს მოიჯარეებს შესაძლებლობას, შეიძინონ სამშენებლო მასალები და დაიქირავონ სამუშაო ძალა, ვინაიდან სატრანსპორტო მკლავი აფხაზეთიდან ტვირთის მიწოდებისათვის საკმაოდ მოკლეა და სატრანსპორტო მიწოდება მასალისა საკმაოდ ჩქარა ხდება“, – განაცხადა რეგიონალური განვითარების მინისტრმა დიმიტრი კოზაკმა. ამასთან მან დაუმატა: „რუსეთის სახელმწიფო არ აწარმოებს მშენებლობას, ყველა მოიჯარე – კერძო კომპანიაა. – ანუ, არავინ რუსეთის სახელმწიფო დონეზე არ იზიდავს აფხაზეთს ოლიმპიადისათვის მზადებაში. თუ კერძო მოიჯარეები მიიჩნევენ, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელია ცემენტის ყიდვა გაგრაში და იქვე განათავსებენ თავიანთ მუშებს – დაე, ასეც იმოქმედონ, ეს მათი უფლებაა“.

**კოსოვოს აღიარების შემდეგ, სულ ცოტა, რუსეთმა მიიღო შესაძლებლობა, ააგოს გლობალური კოალიცია იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც თავს გრძნობენ დაუცველად მსოფლიოში. მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივი აღიარება, პირიქით, რუსეთს იზოლაციაში შეაგდებს. მის წინააღმდეგ დაიწყებენ კოალიციის აგებას ის ქვეყნები, რომელთათვისაც საერთაშორისო სამართლის ნორმები წმინდაა და ხელშეუხლებელი**

НОВЫЕ ИЗВЕСТИЯ

არსებითად, რუსეთმა დაიწყო აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან თავისი ურთიერთობა, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან ობიექტებთან. რაც სრულიადაც არ ნიშნავს ოფიციალურ აღიარებას. სანქციების მოხსნა – ეს არის რუსეთის პასუხი კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცალმხრივ გამოცხადებასთან დაკავშირებით. ეს არის ხერხი, აჩვენოს მთელ მსოფლიოს კოსოვოს პრეცედენტის შესაძლო შედეგები. აქვს თუ არა განზრახული რუსეთს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების საკითხი გადაიტანოს დისკუსიის დარგიდან პრაქტიკულ კალაპოტში? არა გვგონია, რომ ასეთი განზრახვა იყოს. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით რუსეთი აღმოჩნდებოდა საერთაშორისო იზოლაციაში: არც ერთი ევროპული ქვეყანა, რომ აღარაფერი ითქვას ამერიკის შეერთებულ შტატებზე, ასეთ გადაწყვეტილებას არ მოიწონებს.

რუსეთის ხელისუფლება მძიმე მორალურ მდგომარეობაშია. ის ამჟღავნებს თავის სიმპათიას ამ რესპუბლიკის ხალხებისადმი, ყოველმხრივ ეხმარება მათ, მაგრამ არ შეუძლია მიბაძოს იური ლუჟკოვის მოწოდებას, რომელმაც განაცხადა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ იქნენ აღიარებული აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. რატომ არ შეუძლია? იმიტომ, რომ რუსეთს არ სურს გამოიყურებოდეს მსოფლიო სეპარატიზმის მფარველად. მისი რეაქციაც კოსოვოს აღიარებაზე ზოგიერთი ქვეყნის მიერ ზუსტად მიგვანიშნებს ამაზე.

რასაკვირველია, მსოფლიოში გაჩნდა შესაძლებლობა ქვეყანათა დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების უგულებელყოფით. მაგრამ კოსოვოს აღიარების შემდეგ, სულ ცოტა, რუსეთმა მიიღო შესაძლებლობა, ააგოს გლობალური კოალიცია იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც თავს გრძნობენ დაუცველად მსოფლიოში. მაგრამ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ცალმხრივი აღიარება, პირიქით, რუსეთს იზოლაციაში შეაგდებს. მის წინააღმდეგ დაიწყებენ კოალიციის აგებას ის ქვეყნები, რომელთათვისაც საერთაშორისო სამართლის ნორმები წმინდაა და ხელშეუხლებელი. საერთოდ, ყველა თავისი მორალური ვალდებულების შესაბამისად, ის, რაც ჯერ რუსეთს შეუძლია გააკეთოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის, ეს არის – აღმოუჩინოს მათ დახმარება აღიარების გარეშე.

**ვალერი ვიჟუტოვიჩი**

# რუსეთის სარკინიგზო ჯარები საქართველოს ამბოხებულ რეგიონს ტოვებენ

**უკანასკნელმა რუსეთის 400 ჯარისკაციდან, რომლებიც მოსკოვმა გაგზავნა აფხაზეთის რკინიგზის რემონტისათვის, დატოვა მისი ტერიტორია. ამრიგად ჯარების აქ ყოფნა, რომელიც თბილისსა და მის დასავლელ მოკავშირეებს აღიზიანებდა, დამთავრდა.**

54 კილომეტრის სიგრძის სარკინიგზო ხაზის გახსნის ცერემონიაზე მიკროფონებიდან გაისმოდა მუსიკა სასულე ორკესტრის შესრულებით. ბავშვებს რუს ჯარისკაცებთან მიჰყონდათ ყვავილები და აფხაზეთის დროშები.

„აბსოლუტურად სწორია, რომ მთელი პირადი შემადგენლობა და აღჭურვილობა გაყვანილი იქნება აქედან“, – აცნობა ჟურნალისტებს სარკინიგზო ჯარების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა სერგეი კლიმეცმა, რომელმაც ჯარისკაცებს მედლები გადასცა.

**საქართველო ბრალს სდებს რუსეთს, რომელსაც რეგიონში ჰყავს 3 ათასი ჯარისკაცი-მშვიდობისმყოფელი, აფხაზეთის ანექსიის მცდელობაში. მაგრამ მოსკოვი აცხადებს, რომ რესპუბლიკაში შეუიარაღებელი სარკინიგზო ჯარების შეყვანა – ეს მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებაა**

REUTERS

აფხაზეთი – აყვავებული მთიანი რეგიონია, რომელიც გადაჭიმულია შავი ზღვის სანაპიროზე. მას შემდეგ, რაც 1991 წელს დაინგრა საბჭოთა კავშირი, ადგილობრივი მეამბოხეები ეწეოდნენ ომს საქართველოსთან და მხოლოდ 1994 წელს გაეროს შუამავლობით დაიდო ხელშეკრულება მშვიდობის შესახებ.

ამჟამად აფხაზეთი საქართველოს მეორე სეპარატისტულ რეგიონთან – სამხრეთ ოსეთთან ერთად აღმოჩნდა კონფლიქტის ცენტრში რუსეთსა, რომელიც მხარს უჭერს მეამბოხეებს, და საქართველოს შორის, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ეხმარება.

საქართველო ბრალს სდებს რუსეთს, რომელსაც რეგიონში ჰყავს 3 ათასი ჯარისკაცი-მშვიდობისმყოფელი, აფხაზეთის ანექსიის მცდელობაში. მაგრამ მოსკოვი აცხადებს, რომ რესპუბლიკაში შეუიარაღებელი სარკინიგზო ჯარების შეყვანა – ეს მხოლოდ ჰუმანიტარული დახმარებაა.

რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები იბრძვიან კავკასიაში გავლენისათვის. დასავლეთი მას განიხილავს როგორც ნავთობის ექსპორტის მნიშვნელოვან მარშრუტს კასპიის ზღვის რაიონიდან მსოფლიო ბაზარზე.

სარკინიგზო ხაზის მონაკვეთის გახსნის ცერემონიაზე გურამ გუბაზმა, აფხაზეთის რკინიგზის უფროსმა, განაცხადა, რომ დაახლოებით 200 რუსმა ჯარისკაცმა უკვე დატოვა აფხაზეთი. მისი სიტყვებით, დარჩენილმა 200-მა კაცმაც უნდა დატოვოს რესპუბლიკა ოთხშაბათის საღამომდე.

ივნისში რუსი სამხედროები პირობას იძლეოდნენ, რომ ჯარისკაცები დატოვებდნენ აფხაზეთს 29-30 ივლისს.

აღნიშნული სარკინიგზო ხაზი აფხაზეთის დედაქალაქს აერთებს ქალაქ ოჩამჩირესთან, რომელიც სამხრეთითაა განთავსებული.

როგორც გუბაზმა განაცხადა, ამ გზით ოჩამჩირიდან რუსეთის სამხრეთ ქალაქ სოჭამდე მიეწოდება ქვიშა, რაც აუცილებელია 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

საქართველომ, სსრ კავშირის ყოფილმა რესპუბლიკამ, რუსეთის რისხვა გამოიწვია იმის გამო, რომ იგი აპირებს ნატოში შესვლას.

**გაი ფოლკენბრიჯი, ჯეიმს კილნერი**

## დედამიწის ზურგზე

**იაპონიაში ცოცხლობენ ყველაზე დიდხანს – დაახლოებით 86 წელი. იაპონელმა ქალებმა დაიკავეს პირველი ადგილი მსოფლიოში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მიხედვით. შარშან ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა და მიაღწია 85,99 წელს. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მამაკაცებს შორისაც გაიზარდა – 79,19 წლამდე. მათ მესამე ადგილი უკავიათ მსოფლიოში ისლანდიისა და ჰონკონგის მცხოვრებთა შემდეგ.**

* * *

**„ხესბალახი“ ემუქრება ისრაელს ახალი შეიარაღებული კონფლიქტით. ლიბანის შიიტური მოძრაობა ახლოს არის იმასთან, რომ მიიღოს გადაწყვეტილება „ოპერატიული ზომების შესახებ“, რათა აიძულოს ისრაელი, დაიცვას ლიბანის სუვერენიტეტი. ეს ხდება ლიბან-ისრაელის მეორე ომიდან ორი წლის შემდეგ.**

* * *

**ჩინელები მოითხოვენ, ჩამოერთვას ლიცენზიები იმ არხებს, რომლებმაც აჩვენეს ოლიმპიადის გახსნის ცერემონიის რეპეტიცია. უდიდესმა საინფორმაციო პორტალმა „სინამ“ მოაწყო გამოკითხვა, რომლის შედეგადაც რესპონდენტთა უდიდესმა უმრავლესობამ დაგმო სამხრეთ კორეელი ჟურნალისტები. ბევრ ფორუმზე გაისმის იმის შესახებ, რომ ჩამოერთვას ამ ტელეარხს „ოლიმპიური“ ლიცენზია და ჟურნალისტები გასახლებულ იქნენ ქვეყნიდან. უფრო მეტიც, საიტების სტუმრები მოუწოდებენ, საერთოდ გამოუცხადონ ბოიკოტი მთლიან პროდუქციას სამხრეთ კორეიდან.**

* * *

**თურქეთში ჩამოინგრა ბავშვთა საერთო საცხოვრებელი: დაიღუპა 13 კაცი, დაშავდა 20. ეს მოხდა ცენტრალურ თურქეთში ქალაქ კონიაში. ბევრი დაზარალებული მძიმე მდგომარეობაშია. სულ სამსართულიან საერთო საცხოვრებელში იმყოფებოდა დაახლოებით 50 მოზარდი.**

* * *

**იაპონიის პრემიერ-მინისტრი ერთ დღეში ახდენს მთავრობის რეორგანიზაციას. პროცედურის შესაბამისად, მთავრობა გადადგება პარასკევს და გამოცხადდება მისი ახალი შემადგენლობა. უფლებამოსილებაში საბოლოო შესვლა ნავარაუდევია შაბათისათვის, იმპერატორის მიერ მისი ფორმალური დამტკიცების შემდეგ.**

* * *

**კოსმოსურმა აპარატმა „ფენიქსმა“ მარსზე აღმოაჩინა წყალი. მეცნიერებს ადრეც ჰქონდათ ირიბი მონაცემები მარსზე წყლის არსებობის შესახებ, რომლებიც მიღებული ჰქონდათ თანამგზავრ „მარს-ოდისეიდან“, აგრეთვე თავად „ფენიქსიდან“ დაკვირვების დროს, მაგრამ ამჯერად მან პირველად შეძლო მისი „ხელით შეხება და გემოს გასინჯვა“. ამ წარმატების შემდეგ ნასამ გადაწყვიტა „ფენიქსის“ მისია მარსზე გააგრძელოს ხუთი კვირით.**

* * *

**დადასტურებულია: ტიტანზე არსებობს სითხით სავსე ტბები. ამერიკელმა მეცნიერებმა გააანალიზეს ფოტოგრაფიები, რომლებიც გადმოცემულია კასინის სადგურიდან და მივიდნენ ერთმნიშვნელოვან დასკვნამდე, რომ ერთ-ერთ ტბაში ტიტანის თანამგზავრ სატურნზე არის ეთანი. ეს ნივთიერება სითხიერი სახით არის ნავთობის ნედლეულის ნაწილი.**

რეზონანსი

**ეხმაურებიან ჩვენს მიმართვას: ვინ არის, თქვენი აზრით, 100 ყველაზე ღირსებიანი და 100 ყველაზე უღირსებო**



# როცა „თქმა სჯობს არათქმასა“

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის ერთი პროექტის გამო**

**ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ვალდებულად ვთვლი, გამოვიდე ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტული და ობიექტური გაზეთის „საქართველოს რესპუბლიკის“ კრიტიკით, რომელთანაც ვთანამშრომლობ და ვმეგობრობ ნახევარი საუკუნის მანძილზე.**

დიდი იმედი მაქვს, რომ გაზეთის რედაქცია გაგებით მოეკიდება 80 წელს მიღწეული, ბევრის (კარგისაც და ცუდისაც) მომსწრე ადამიანის გულისწუხილს, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების ფრიად აქტუალურ და მწვავე საკითხს ეხება.

კერძოდ, მხედველობაში მაქვს „საქართველოს რესპუბლიკის“ მიერ ახლადშემოთავაზებული პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს წარსულისა და თანამედროვეობის „ყველა-

**მოდით ერთად შევადგინოთ ეს ნუსხა თქვენ ვის ნახავს ისურვებდით ამ ნუსხაში?**

ზე ღირსებიანი“ და „ყველაზე უღირსებო“ 100-100 ქართველის სიების შედგენას მკითხველთა მიერ.

არაფერი მაქვს საწინააღმდეგო პროექტის პირველი ნახევრის მიმართ, 100 საუკეთესო ქართველის გამოვლენას რომ ითვალისწინებს. ინტერესით და მოწონებით ვეცნობოდი გაზეთში გამოქვეყნებულ 100 „ღირსებიანი“ ქართველის სიებს.

მთელი ჩვენი ისტორიის მანძილზე, საბედნიეროდ და სასახელოდ, გვყავდა არა თუ ასობით, არამედ ათასობით და ათიათასობით დიდებული ადამიანი, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს და მუდამ იამაყებს ქართველი ხალხი. და რაც მეტი „კანდიდატი“ აღმოჩნდება ამ სიაში, მით უკეთესი. კიდევ ერთხელ გავიხსენებთ სასიქადულო მამულიშვილების სახელებს!

მაგრამ 100 „უღირსებო“ უკეთური ქართველის გახსენება?!! მეგობრებო, დაფიქრდით, რას გვთავაზობთ?! ხომ წარმოგიდგენიათ, რა მძაფრ და ბოლომდე განუჭვრეტელ რეაქციას გამოიწვევს ეს ჩვენს ისედაც უზომოდ გაღიზიანებულ, ფსიქოლოგიურად დათრგუნულ, პოლიტიკურად ჭრელ და, ამავე დროს, ამბიციურად თავმოყვარე საზოგადოებაში? მით უმეტეს, რომ, როგორც ეს, „პირველმა ნეგატიურმა პრეფერენციამ“ (ნ. ლომოური 22 ივლისის ნომერშიძ გვიჩვენა, აქ „მოქმედ პირთა“ ჩამონათვალში ლამის ნახევარი ჩვენი თანამედროვეები არიან!

მთლიანად ვეთანხმები ბატონ დურმიშხან ცინცაძის Post scriptum-ს (12 ივლისის გაზეთშიძ: „100 უღირსებო ქართველების ჩამოთვლას თავი შეგნებულად ავარიდე. ვითომ, ასეთ არეულ დროს უღირსებოთა ნუსხა რამეში წაგვადგება? ვგონებ, რომ არა“.

ნამდვილად არა! კიდევ მეტი: ამგვარი პუბლიკაციების გაგრძელება ძალაუნებურად გამოიწვევს ურთიერთბრალდებების, პიროვნული და პოლიტიკური დაპირისპირებების, ინსინუაციების კორიანტელს!

მიკვირს, რომ გაზეთის ამ პროექტს გამოეხმაურა აკადემიკოსი ნოდარ ლომოური — განათლებული და გონიერი (ყოველ შემთხვევაში, ასეთად ვიცნობდი წლების მანძილზეძ ადამიანი. თუმცა, ბოლოს იგიც აღნიშნავს: „ბევრი უღირსებო ქართველი კიდევ დამრჩა დაუსახელებელი, მაგრამ მოვერიდე იმათ შთამომავლებს. დღევანდელ პოლიტიკოსებს შეძლებისდაგვარად თავს ვარიდებო“.

უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლო სამი დღის მანძილზე ბარე ათმა პიროვნებამ დამიდასტურა ჩემი პოზიციის მხარდაჭერა. ასე რომ...

დაბოლოს, მოგმართავთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მესვეურებს:

ბატონებო, თქვენ უკვე გამოუშვით „ჯინი ბოთლიდან“.

ჩემი რჩევაა, დაკმაყოფილდეთ მხოლოდ „ღირსებიანი“ ქართველების სიებით.

კიდევ ერთხელ მინდა გამოვთქვა სინანული იმის გამო, რომ მომიხდა ჩემ მეგობარ გაზეთთან და მის შესანიშნავ კოლექტივთან დაპირისპირება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ეს ის შემთხვევაა, როდესაც „თქმა სჯობს არათქმასა“.

**გულბათ ტორაძე**

**რედაქციისგან: ავტორი ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ თავის აზრს გვთავაზობს. როგორც მკითხველთა წერილებიდან ჩანს, უმრავლესობა სწორედ უღირსებოთა აღნუსხვას მოითხოვს, რამეთუ ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ არცხვენდა საუკუნეთა სიგრძეზე.**

შემოქმედება

# ქართული სულის ძგერის ფესტივალი



**მრავალ კარგ თბილისურ ტრადიციას ბოლო ოთხი წელია კიდევ ერთი, ფოლკლრული ფესტივალი „არტ-გენი“ შეემატა, რომელიც ახლახანს დასრულდა.**

კუს ტბაზე ეთნოგრაფიულ მუზეუმსა და ვაკის პარკის მიმ-



დებარე ტერიტორიაზე მრავალი უაღრესად საინტერესო ღონისძიება გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ანსამბლები „33 ა“, „სუხიშვილები“, „მგზავრები“, „ალილო“, „ნადური“, „გურულები“, „გორდელა“, „ურმული“, „ფერეიდანი“, საპატრიარქოს გუნდი „ბასიანი“, „დიდგორი“, „ფოთი“, „ახალუხლები“, ქართული ფოლკლორის თეატრი, კახა ბაკურაძის მოძრაობის თეატრი, მოეწყო ქართული რეწვისა და ეთნოგრაფიის გამოფენები, ქართული საბრძოლო ხელოვნება ხრიდოლის დემონსტრირება, გაიმართა ჯაზის საღამო, სტუმრებს გააცნეს ჩინური კულტურა და ხელოვნება... ფესტივალში თბილისური კოლექტივების გარდა მონაწილეობდნენ ასევე საქართველოს მრავალი კუთხიდან ჩამოსული ანსამბლები, შემოქმედებითი ჯგუფი, ხალხური რეწვის შესანიშნავი წარმომადგენლები, რომლებსაც ჩამოტანილი ჰქონდათ ხალიჩები, ნაბდები, ნაქსოვი ტანსაცმელი, სამკაულები, ჭურჭელი. გარდა ამისა, ფესტივალის ვრცელი პროგრამა დიდად დაამშვენა ლატვიიდან და საფრანგეთიდან ჩამობრძანებული სტუმრების მონაწილეობამ.

მასშტაბურ ფესტივალს, ცხადია, სულისჩამდგმელები ჰყავდა — მისი ორგანიზატორები იყვნენ ნიაზ დიასამიძე, გიორგი ბარამიძე, თამარ მელიქიშვილი, მარია ლანევსკი, ზაზა კორინთელი და სხვები.

წლევანდელმა ფესტივალმა



ცხადჰყო, რომ ყოველწლიურად იზრდება მასში მონაწილეობის მიღების მსურველთა რიცხვი, საგრძნობლად გამდიდრდა ხალხური შემოქმედებისა და რეწვის პალიტრა, მნახ-



ველები კი დარწმუნდნენ, რომ ქართულ კულტურას ღირსეული მემკვიდრეები და უძველესი ტრადიციების დამცველები ჰყავს. მეტად სასიამოვნო იყო აგრეთვე ისიც, რომ როგორც თავად ფესტივალის მონაწილეთა ასევე სტუმარ-მასპინძელთა აბსოლუტური უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ.

ბუნებრივია, რომ ისეთ წარმომადგენლობით ფორუმს, როგორიც „არტ-გენი“ იყო, სერიოზული ხელშეწყობა სჭირდებოდა, რომელიც თბილისის მერიამ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ, რადიოკომპანია „უცნობმა“, ხოლო სპონსორობა — წლეულს პირველად — კომპანია „გაერთიანებულმა ტელეკომმა“ გაუწიეს.

— ფესტივალის მნიშვნელობის გადაჭარბებულად შეფასება ნამდვილად ძნელია თუნდაც იმ მიზეზით, რომ საქართველოში აშკარად იგრძნობა მსგავსი შინაარსისა და, მით უმეტეს, მასშტაბის ღონისძიებათა სიმწირე, — თქვა „გაერთიანებული ტელეკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ კომერციულ საკითხებში ივა მარტიაშვილა. — როცა ასეთ ფორუმს კომერციული ფირმა უწევს ფინანსურ მხარდაჭერას, ეს თავად სპონსორისთვისაც მომგებიანია, თუმცა ეს არ არის ყველაზე მთავარი. კომპანიის პოპულარიზაციისთვის ამას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, გარდა ამისა, ჩვენც ხომ საქართველოს შვილები ვართ! ამიტომაც ჩვენი ტრადიციების, კულტურის, ზოგადად შემოქმედების მხარდაჭერა ერთიანად ყველას წმინდა მოვალეობაა.

**აქვე იმასაც მოგახსენებთ, რომ „არტ-გენი“ არ არის ერთადერთი არაკომერციული პროექტი, რომელსაც ფინანსურ მხარდაჭერას ვუწევთ, რითაც, ვფიქრობ, სამართლიანადაც ვამაყობთ, — თქვა მან.**

**ოთარ ტურაბელიძე**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

ინფორმაცია

# რატომ მოკლეს ბერძენი მსახიობი?

**ბერძენი მსახიობის მკვლელობაში ბრალდებულ ქართველს სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.**

ბრალდებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს, თუმცა აცხადებს, რომ მკვლელობა სექსუალური ზეწოლის შემდეგ ჩაიდინა.

დაკითხვის შემდეგ მკვლელობაში ბრალდებულმა ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა. მისი განცხადებით, ნანობს ჩადენილ დანაშაულს და მსახიობის ოჯახს ბოდიშს უხდის.

ნიკო სერდიანოპოლუსის მკვლელობაში ბრლადებული პოლიციამ გასულ კვირაში დააკავა. მსახიობი საკუთარ სახლში მოკლული იპოვეს.

**ინტერპრესნიუსი**

◎ უეფას თასი

# მორიგი ფიასკო

**პირდაპირ საოცრებებს ჩადის ევროსარბიელზე საქართველოს თასის მფლობელი „ზესტაფონი“ – სტუმრად მიღწეული სასურველი შედეგის შემდეგ ყვირილასპირელები საკუთარ მინდორზე აგებენ საპასუხო რაუნდს და მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს გაწბილებულებს ტოვებენ.**

შეგახსენებთ, რომ ასე მოხდა ათი წლის წინათ, როცა მალტაზე „შლიემა უონდერერსთან“ მოპოვებულ გამარჯვებას – 3:1 შინ განცდილი ფიასკო მოჰყვა – 0:3. სამწუხაროდ, ისტორია ამჯერადაც განმეორდა – თემურ მახარაძის გუნდის ცოდვა უნგრულმა „დიორმა“ დაიდო.

უკვე გაუწყეთ, რომ უეფას თასის გათამაშების პირველი ეტაპის სასტარტო შეხვედრაში იმერული კლუბი მეტოქეს 1:0 ამარცხებდა, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ ზავის გაფორმება „მოახერხა“ – 1:1.

გოცირიძემ ანგარიში ზესტაფონშიც გახსნა, მაგრამ რად გინდა – ამის შემდეგ მასპინძლებმა ორი გოლი გაუშვეს, მატჩი 1:2 წააგეს და ტურნირსაც უსახელოდ გამოეთიშნენ.



საბედნიეროდ, თანამემამულეთაგან განსხვავებით, ერთი ნაბიჯით წაიწია წინ ქვეყნის ვიცე-ჩემპიონმა „ვიტ ჯორჯიამ“, რომელმაც ვაკის სტადიონზე 1:0 სძლია სლოვაკური ტრნავის „სპარტაკს“ (რაზმაძე. პირველი შეხვედრა – 2:2ძ.

**დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა:** „ბანანცი“ – **„ზალცბურგი“** 0:3 (0:7ძ, „ოლიმპიკი“ (ბაქო)ძ – **„ვოივოდინა“** 1:1 (0:0ძ, **„ბორაცი“** – „დაჩია“ 3:1 (1:1ძ, **„მეტალურგსი“** – „გლენტორანი“ 2:0 (1:1ძ, „მილანი“ – **„ომონა“** 1:2 (0:2ძ, „მოგრენი“ – **„შამონი“** 0:3 (1:1ძ, „ფლორა“ – **„იურგორდენი“** 2:2(0:0), „ბირკირკარა“ – **„ჰაიდუკი“** 0:3 (0:4ძ, „გომელი“ – **„ლეგია“** 1:4 (0:0ძ, **„ჰაკა“** – „კორკი“ 4:0 (2:2ძ, „ნისტრუ“ – **„ჰერტა“** 0:0 (1:8ძ, **„ვიკინგი“** – „ვეტრა“ 2:0 (0:1ძ, **„აპოელი“** – „პელისტერი“ 1:0 (0:0ძ, **„კალმარი“** – „რასინგი“ 7:1 (3:0ძ, **„მიდტიულანდი“** – „ბანგორი“ 4:0 (6:1ძ, „ტორსჰავნი“ – **„ბრონდბიუ“** 0:2 (0:1ძ, **„ჟილინა“** – „მტზ რიპო“ 1:0 (2:2ძ, ტნს – **„სუდუვა“** 0:1 (0:1ძ, „აკრანესი“ – **„ჰონკა“** 2:1 (0:3ძ, **„დებრეცენი“** – „შახტიორი“ (ყარაგანდა)ძ 1:0 (1:1ძ, **„ლეხი“** – „ხაზარი“ 4:1 (1:0ძ, **„კოპენჰაგენი“** – „კლიფტონვილი“ 7:0



(4:0ძ, „გრევენმახერი“ – **„ჰაფნარფიორდური“** 1:5 (2:3ძ, „პარტიზანი“ – **„შიროკი ბრიეგი“** 1:3 (0:0ძ, **„სლავენი“** – „მარსაშლოკი“ 4:0 (4:0ძ, **„ვლაჟნია“** – „კოპერი“ 0:0 (2:1ძ, **„ბელინცონა“** – „არარატი“ 3:1 (1:0ძ, **„აუსტრია“** – „ტობოლი“ 2:0 (0:1ძ, „დოგანა“ – **„ჰაპოელი“** 0:2 (0:3ძ, „სანტა ჯულია“ – **„ჩერნომორე“** 0:5 (0:4ძ, **„ზრინსკი“** – „ვადუცი“ 3:0 (2:1ძ, **„ლუბლიანა“** – „ზეტა“ 1:0 (1:1ძ, **„სენტ პატრიკი“** – „ოლიმპსი“ 2:0 (1:0ძ, **„სიტი“** – „სტრეიმური“ 2:0 (2:0ძ.

* * *

**გუშინ შვეიცარიაში გამართულმა კენჭისყრამ ვეტერინართა მეტოქედ II ეტაპზე დაასახელა ვენის „აუსტრია“. 14 აგვისტოს ეს გუნდები ერთმანეთს თბილისში შეხვდებიან, ხოლო 28 აგვისტოს მასპინძლობა ალპური სახელმწიფოს ქვეშევრდომებს მოუწევთ.**

◎ ნარდი

# გოგი ბუკიას მემორიალი

**სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გუშინ დაიწყო და 5 აგვისტოს დამთავრდება გოგი ბუკიას სახელობის მეორე საერთაშორისო ტურნირი ნარდში.** მთავარი პრიზისათვის ბრძოლაში 10 ქვეყნის 60-მდე წარმომადგენელი ჩაება. ტურნირი განათლების, კულტურისა და სულიერების აღორძინების საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ხობის“ ინიციატივით შარშან დაფუძნდა. მისი სპონსორები არიან საქართველოს ნარდის ეროვნული ფედერაცია, შპს „მგ კომპანია“, ქართული ღვინის კომპანია „ბადაგონი“, „შავი ზღვის ტერმინალი“, კომპანია „საქტურკურორტი“, შპს „გეოატლასტური“, კომპანია „პროფილის“ საინვესტიციო სამშენებლო ჯგუფი.




შეჯიბრების დამატებითი საპრიზო ფონდია 30 ათასი ევრო.

◎ ჭიდაობა

# გეზი პეკინისკენ აიღეს

**წლევანდელ ოლიმპიურ თამაშებში ქართველ სპორტსმენთაგან, ცხადია, უპირველესად, მოჭიდავეების გვეიმედება. „კლასიკოსები“ ამას წინათ ბელარუსში იმყოფებოდნენ საწვრთნელ შეკრებაზე და ორი კვირის განმავლობაში მასპინძლებთან, სომხებთან და ფრანგებთან ერთად ვარჯიშობდნენ. გუშინ მათ პეკინისკენ აიღეს გეზი. გამგზავრებს წინ ბერძნულ-რომაული სტილით მიჭიდავეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს ბეგი დარჩიას ვესაუბრე:**

– კარგი პირობები გვქონდა, – მითხრა მან. – სათანადოდაც მოვემზადეთ.



დავით ბედინაძე (60ძ და ბადრი ხასაია (84ძ გამოჯანმრთელდნენ, რამაზ ნოზაძეს (96ძ ფეხის კუნთი ისევ დაჭიმული აქვს და მთელი დატვირთვით ვერ ემზადება. თუმცა შეჯიბრების დაწყებამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და, ვფიქრობ, ყველაფერი კარგად იქნება.

**– მეტოქეებზე რას იტყვით?**

– ეგვიპტელი ქარამ იბრაჰიმი წლეულს მსოფლიო თასზეც ვნახე და იტალიის ტურნირზეც. დიდი პოტენციის სპორტსმენია, მაგრამ თამაშებისთვის არასერიოზულად ემზადება და ბუნებრივი ნიჭით ფიქრობს ფონს გასვლას. თამაშების ფავორიტები იქნებიან რუსები – მაკიევი და მიშინი, აზერბაიჯანელი ბაირამოვი, იაპონელი მაცუმოტო ვაკასაკი, თურქი ავლუჯა ნაზმი, ლიტველი მანდაუსკას ეზერსკისი და სხვები. თუმცა ყველაფერი ოლიმპიურ ხალიჩაზე გამოჩნდება. 12 აგვისტოს ბედინაძე და გოგიტაძე გავლენ საჭიდაოდ, მომდევნო დღეს კვირკველია იასპარეზებს, 14 აგვისტოს კი მედლებისთვის ხასაია და ნოზაძე იბრძოლებენ.

◎ ინტერნეტიდან

# ოლიმპიადა მოგვიახლოვდა

**დადგა სპორტსმენებისთვის სანატრელი აგვისტო, კიდევ ერთი კვირა და, 8 აგვისტოს პეკინში აგიზგიზდება ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ცეცხლი. ცეცხლივით აენთებიან თავად ათლეტებიც, რათა ახალი მიღწევებით გაახარონ გულშემატკივრები.**

ჩინეთის დედაქალქს უკვე ეწვია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგე. თამაშების სტარტამდე დარჩენილ ერთ კვირაში მაღალი სტუმარი რამდენიმე შეხვედრას გამართავს ოლიმპიადის ორგანიზატორებთან, დაათვალიერებს სპორტულ ობიექტებს. ჟაკ როგესთვის, სოკ-ის პრეზიდენტის რანგში, ეს იქნება მეორე ზაფხულის ოლიმპიური თამაშები.

როგეზე რამდენიმე საათით ადრე პეკინს ესტუმრა სოკ-ის საპატიო პრეზიდენტი, 88 წლის ხუან ანტონიო სამარანჩი.

* * *

**პეკინის ოლიმპიურ სოფელში ასწიეს პირველი უცხოური სპორტული დელეგაციის დროშა, ეს ქვეყანა ბენინია. დროშის აწევის საზეიმო ცერემონიაზე ბენინის დელეგაციას მიესალმა ოლიმპიური სოფლის მერი ჩენ ჩჟილი.**

ამ აფრიკული ქვეყნის დელეგაციაში 15 წევრია, აქედან 5 სპორტსმენია.

# კულტჰარდმა უკანალი „გამოფინა“

**მართალია, წლევანდელი სეზონის დამთავრების შემდეგ ავტორბოლაში „ფორმულა-1“ კარიერის დამთავრებას აპირებს შოტლანდიელი პილოტი დევიდ კულტჰარდი, მაგრამ, თითქოს „კუდი მოიქნიაო“, სენ-ტროპეში დასასვენებლად მყოფმა საზოგადოებრიობა შოკში ჩააგდო – მეზობელი ხომალდის მგზავრებს უკანალი რომ აჩვენა.**

თუ რამ გამოიწვია საერთოდ წყნარი მრბოლის ასეთი უცნაური გამოხდომა, უცნობია, ალბათ მეზობელი იახტის მგზავრებმა რაღაცით გამოიყვანეს ის მდგომარეობიდან.




თუმცა ეს მისთვის პირველი შემთხვევა არაა, მან ჯერ კიდევ 2000 წელს ერთ-ერთ ეტაპზე შუათითის უცნაური ჩვენებით გამოხატა თავისი „დამოკიდებულება“ მიხაელ შუმახერისადმი, ტრასაზე მას წინ გასვლის საშუალებას რომ არ აძლევდა.

# ვითომ დაიღალა?

**შვედეთის ქალაქ კარლსტადში გამართულ მძლეოსანთა ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირზე სიმაღლეზე მხტომელთა სექტორში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პეკინში ოლიმპიური მედლების კანდიდატები – მასპინძელი სტეფან ჰოლმი და რუსეთელი იაროსლავ რიბაკოვი.** ორგანიზატორების აზრით, შვედს უნდა გაემარჯვა სტადიონის რეკორდით. მაგრამ მან მხოლოდ სამი წარმატებული ნახტომი გააკეთა – 2, 20, 2,24, 2,27. შემდეგი სიმაღლე – 2,30 – მან უკვე ვერ დაძლია. რიბაკოვი კი ამ სიმაღლის გადალახვის შემდეგ, 2.33-საც გადაევლო, რაც სტადიონის რეკორდი იყო. შემდეგი სიმაღლის – 2.36 დაპყრობის ცდა კი წარუმატებელი გამოდგა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ჰოლმი თავის წარუმატებლობის მიზეზად მოულოდნელ დაღლილობას ასახელებდა.

# ცოლს ვერ მოერია

**ახალი სკანდალური დეტალებით „მდიდრდება“ პლანეტის ცნობილი მოჩხუბრის ჰალკ ჰოგანისა და მისი ლამაზმანი ცოლის ლინდას (ფოტოზეძ განქორწინების პროცესი, ამერიკული პრესის დიდ ინტერესს რომ იწვევს.**



მას შემდეგ, რაც „მოჩხუბარი ძის“ ვაჟიშვილმა, მანქანას ნასვამი რომ მართავდა, თავისი თანაკლასელი, ერაყის ომგამოვლილი გაიტანა, ჰალკის საქმე დაღმა დაეშვა. ჯერ ცოლი გაექცა, შემდეგ შვილის 19 წლის თანაკლასელისთვის უნდოდა შეეწირა 4,2 მილიონად შეფასებული თავისი სახლის გაყიდვით აღებული გარკვეული თანხა, მაგრამ აშშ-ში უძრავი ქონების ბაზარზე დაწყებულმა კრიზისმა აქაც ხელი მოუცარა. რაზეც თავის თითქმის ყოფილ ცოლს აცნობა. „რესტლინგში მრავალი ბინძური ხერხია. მაგრამ ის, რაც ბოლო ხანებში ჩემს ცოლთან გადავიტანე, რინგზე არც ერთ მეტოქესთან არ განმიცდია, – განუცხადა ჰოგანმა ჟურნალისტებს, – ეს ხომ უდიდესი სიბინძურეა“.

ხსოვნა

# ლევან ჩარკვიანის მოსაგონარი

ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიამ, ონკოლოგიის ნაციონალურმა ცენტრმა დაკარგა სახელოვანი მეცნიერი, აკადემიკოსი, მრავალი სამეცნიერო აკადემიის წევრი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს და თბილისის ონკოლოგთა და ონკოგინეკოლოგთა საზოგადოებამ — თავკაცი, გინეკოლოგიურმა კლინიკამ — ხელმძღვანელი და მასწავლებელი, დიდი დასტაქარი და გულისხმიერი ექიმი, საქართველოს მოსახლეობამ — დიდი მკურნალი, ხოლო მთლიანად ჩვენმა ქვეყანამ უბადლო ერისკაცი და საზოგადო მოღვაწე.

გარდაიცვალა ლევან იოსების ძე ჩარკვიანი.

ლევან ჩარკვიანი სახელოვანი ჩარკვიანების დინასტიის წარმომადგენელია. მისი მამა, ბატონი იოსები ერთ-ერთი პირველი პროფესორი მეან-გინეკოლოგი იყო და მისი სახელი დღეს მიკუთვნებული აქვს ბათუმის სამშობიარო სახლს.

ლევან ჩარკვიანი დაიბადა 1923 წელს. 1940 წ. დაამთავრა ბათუმის №8 საშუალო სკოლა და ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1944 წ. განაწილებით მუშაობა დაიწყო აჭარის მაღალმთიან სოფ. რიყეთის საექიმო უბნის გამგე. 1945-47 წ.წ. იგი არის ბათუმის რაიონის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე. ამ დროს მან საფუძველი ჩაუყარა ქალთა კონტინგენტის პროფილაქტიკურ გასინჯვებს და კიბოს ადრეული ფორმების გამოვლინების ახლებურ მიდგომებს. 1951 წელს, აკად. ა. სერებროვისა და ლ. შაბადის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1954 წლიდან იგი ბათუმის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმია და შეთავსებით ეწევა პედაგოგიურ მუშაობას. 1963 წელს კი იცავს სადოქტორო დისერტაციას. მისი სადოქტორო დისერტაცია იყო პირველი ნაშრომი კიბოს ეპიდემიოლოგიაში საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

1964 წ. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ლ. ჩარკვიანს კონკურსით ირჩევენ საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ონკოლოგიის ს/კ ინსტიტუტის გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელად, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით კლინიკა ერთ-ერთი მოწინავე და სამაგალითო დაწესებულება გახდა მთელ საბჭოთა კავშირში. ბატონი ლევანის მეცნიერული და პრაქტიკული პოტენციალი ძლიერ ამაღლდა. მისი მონაწილეობის გარეშე არ ჩატარებულა საბჭოთა კავშირში არც ერთი სამეცნიერო კონფერენცია თუ კონგრესი, სადაც მისი ავტორიტეტული აზრი გაზიარებული არ ყოფილა.

1965 წ. თბილისის ონკოლოგიის ს/კ ინსტიტუტში ლ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სსრკ სამედიცინო აკადემიის გინეკოლოგიური კიბოს ეპიდემიოლოგიური კვლევის საერთაშორისო ცენტრი, რომელიც შემდეგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების ქვეყნებისა და სსრკ-ამერიკის თანამშრომლობის ცენტრად იქცა გინეკოლოგიური კიბოს ეპიდემიოლოგიის დარგში.

შემდეგ დაიწყო ბატონი ლევანის ძლევამოსილი სახელის მოხვეჭა საერთაშორისო სამეცნიერო სარბიელზე — ანკარა (1965ძ, ტოკიო (1966ძ. ამასთან იკვეთება ლ. ჩარკვიანის, როგორც ქირურგ-ონკოლოგის რაფინირებული ქირურგიული ტექნიკა და დიდი ერუდიცია, ასრულებს ურთულეს გინეკოლოგიურ ოპერაციებს. მან პირველმა გააკეთა საშვილოსნოს გაფართოებული ექსტირპაცია — ვერთჰეიმის ოპერაცია. მას უკვე აღიარებენ პირველ ქირურგ-გინეკოლოგად არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. გამოჩენილმა ქართველმა ონკოლოგმა პროფ. ირაკლი მგალობლიშვილმა ერთ-ერთ საიუბილეო ზეიმზე მას ოქროს ლანცეტი უძღვნა.

ორმოცი წლის მანძილზე გინეკოლოგიურ კლინიკაში ბატონი ლევანის მიერ ჩატარებულია 2500-ზე მეტი ვერთჰეიმის ოპერაცია. შესწავლილი და დამუშავებულია თითოეული ეტაპი. დახვეწილია და მოდიფიცირებული ცალკეული დეტალები. ამ პრობლემების მეცნიერული ანალიზი გახდა ბატონ ლევანის ხელმძღვანელობით არაერთი სამეცნიერო შრომის საფუძველი.

ლ. ჩარკვიანისა და მის მიერ ჩამოყალიბებული ონკოგინეკოლოგიური სამსახურის ავტორიტეტმა განაპირობა მრავალი საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმების, სამუშაო თათბირების, ქართველ-ამერიკელ ეპიდემიოლოგთა შეხვედრა (1975-1979ძ. ბატონი ლევანი მონაწილეობდა რუმინეთსა და ბულგარეთში ჩატარებულ ონკოლოგთა კონგრესების მუშაობაში (1969ძ, ჰიუსტონის (1970ძ X საერთაშორისო კონგრესზე, ბაქოში (1975ძ, ტალინში (1972ძ, სადაც ის აირჩიეს ჟურნალ „Вопроси Онкологий“ სარედაქციო საბჭოს წევრად, იტალიაში (1974ძ ონკოლოგთა XI საერთაშორისო კონგრესზე, ამერიკის ქალაქ ბეტესდაში (1977ძ ამერიკა-სსრკ პირველ სამუშაო თათბირზე, სადაც მისი მოხსენება იყო პროგრამული და ითარგმნა ინგლისურად. ის ასევე მოხსენებით გამოვიდა კიბოს XII საერთაშორისო კონგრესზე ბუენოს-აირესში (1978ძ.



ბატონ ლევანის კალამს ეკუთვნის 13 მონოგრაფია, მისი ხელმძღვანელობით დაცულია 30 დისერტაცია, გამოქვეყნებულია 340-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

გინეკოლოგიური კლინიკა დღეს აქტიურად თანამშრომლობს ბერლინის, ბუდაპეშტის, პრაღის, პადუას სამეცნიერო ცენტრებთან.

80-იანი წლებიდან განყოფილება აქტიურად ებმება ტროფობლასტური დაავადებებისადმი მიძღვნილ კონგრესში. სიდნეი (1992ძ, სეული (1996ძ, იერუსალიმი (1998ძ, ამერიკა (2001ძ.

პროფესორი ლ. ჩარკვიანი არჩეულია იტალიის მეან-გინეკოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად, ყაზახეთის, ბელორუსიის ონკოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების საპატიო წევრად. ევროპის გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოების საპატიო წევრად, საქართველოს გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოების პრეზიდენტად, საქართველოს და თბილისის ონკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარედ.

ბატონი ლევანი ითვლება საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებლად და პირველ აკადემიკოსად, მისი ბიოგრაფია შეტანილია საერთაშორისო ცნობარში „მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები“.

განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ბატონ ლევანს ამიერკავკასიის ონკოლოგთა ყრილობების ჩატარების ორგანიზებაში და შემდეგ მის აღდგენაში.

ბატონ ლევანს მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო.

ყველაზე დიდ ჯილდო ბატონი ლევანის ოჯახია მისი სათნო მეუღლე ქალბატონი მემნუნე, შვილები ნინო (ენდოკრინოლოგიძ, შვილიშვილი ზაზა ციციშვილი (გინეკოლოგიძ, მისი საქმის გამგრძელებელი, კლინიკის დღევანდელი ხელმძღვანელი ბატონი ლევანის ვაჟი პროფესორი თენგიზ ჩარკვიანი.

ბატონ ლევანს აღიარება, დიდება და პატივი სიცოცხლეშივე მიეგო. დღეს გინეკოლოგიური კლინიკა აკადემიკოს ლ. ჩარკვიანის სახელს ატარებს.

საქართველოს შრომის, სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის სამინისტრო; პროფესორ ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი; კ. ვეფხვაძის სახელობის საქართველოს ონკოლოგთა საზოგადოება; გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოება; საქართველოს ონკოლოგთა ასოციაცია; საქართველოს ქირურგთა ასოციაცია; საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია.

ვაი რომ უკვე მოსაგონარი სტატია იწერება თქვენზე, ბატონო ლევან!

თქვენ გარდაიცვალეთ, მაგრამ სული თქვენი თქვენს განყოფილებაში, თქვენი ახლობლებისა და მოწაფეების გვერდით რჩება.

თანდათან მადლდებით და გვაგრძნობინებთ, ვინ დავკარგეთ:

ადამიანი — უბრალო, თავმდაბალი, მაღალი შინაგანი კულტურის, ბუნებით მშვიდი, გაწონასწორებული;

თავკაცი — ჩინებული და ღირსეული;

მასწავლებელი — უბადლო;
მეგობარი — ულალატო;
ქირურგი — ბრწყინვალე;
მეუღლე — ერთგული;
მამა — თავდადებული;
ბაბუა — მზრუნველი;
კაცი — კაცური.

ჩვენ მოწმენი ვართ გინეკოლოგიური განყოფილების ჩამოყალიბებისა და ფრთაშლისა, თქვენი დამსახურებისა ქართული ონკო-გინეკოლოგიური ქირურგიის მსოფლიო დონეზე ასაყვანად. ვერასოდეს ვერ იფიქრებდით, რომ ეს მოკრძალებული ადამიანი საოპერაციო მაგიდასთან ჯადოქრად გარდაისახებოდა.

ბატონი ლევანი იყო საქვეყნოდ აღიარებული მეცნიერი, საქართველოში მეცნიერული და პრაქტიკული ონკოგინეოლოგიური სკოლის და საბჭოთა კავშირში ქალის სასქესო ორგანოების კიბოს ეპიდემიოლოგიის შესწავლის ფუძემდებელი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და პირველი აკადემიკოსი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ავთვისებიანი გინეკოლგიური სიმსივნეების ეპიდემიოლოგიური კვლევის პიონერი, ახლო და შორეულ უცხოეთში გამოცემული სამედიცინო ჟურნალებისა და სარედაქციო საბჭოების წევრი, ევროპის გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოებისა და უცხოეთის უამრავი სახელმწიფოს ონკოლოგთა საზოგადოებების საპატიო წევრი.

ბატონმა ლევანმა დააარსა საქართველოს გინეკოლოგ-ონკოლოგთა საზოგადოება. მას ჰქონდა საოცარი ხიბლი ადამიანებთან ურთიერთობისა, ჰქონდა უშრეტი ენერგია, გასაკვირი და შესაშური შრომისმოყვარეობა, სასწაული პასუხისმგებლობის გრძნობა, ასწრებდა ყველაფერს: საექიმო, სამეცნიერო, პედაგოგიურ მოღვაწეობას, სამეცნიერო და დასასვენებელ მოგზაურობებს, ახლობლების ჭირსა თუ ლხინში გვერდით დგომას, ყველა თანამშრომლის გულისწუხილის გაზიარებასა და დახმარებას, პრემიერებსა და კონცერტებზე დასწრებას, შვილიშვილებთან ერთად ისტორიული ძეგლების მონახულებას...

ბატონი ლევანი იყო იმედი ოჯახის, ქართული და, არა მარტო ქართული ონკოლოგიის, მეგობრების, მოსწავლეებისა და თავისი პაციენტების.

ვერასოდეს დაგივიწყებთ, ბატონო ლევან!

სიყვარულით გემშვიდობებით...

თქვენ პირველი მიუხვალთ აჩის, რომელიც ასე ძალიან გიყვართ და ფაქტობრივად თქვენი ცხოვრების ბედის გადამტეხი აღმოჩნდა.

მსუბუქი იყოს თქვენთვის ქართული მიწა, იყავით მშვიდად, თქვენი სულისთვის ვილოცებთ თქვენს ოჯახთან ერთად.

ნათელში გამყოფოთ ღმერთმა!!!

აკადემიკოს ლ. ჩარკვიანის სახ.
გინეკოლოგიური კლინიკის
თანამშრომლები

## ჩემო საყვარელო, ბატონო ლევან! ჩემო ძვირფასო პროფესორო!

ძალიან ძნელია ჩემთვის თქვენი ამ ქვეყნიდან წასვლა. დიდია დანაკლისი სრულიად საქართველოსთვის.

ძალიან მიყვარხართ და მეამაყებით. სათნო, კეთილი, მადლიანი კაცი ბრძანდებოდით, ყურადღებიანი, განსაკუთრებით დაბალი პერსონალის მიმართ. ყველას გაჭირვების გამზიარებელი და დამხმარებელი.

არასოდეს არ გავიწყდებოდათ ქალთა საერთაშორისო დღის მილოცვა თანამშრომელი ქალბატონებისათვის.

გემშვიდობები ბატონო ლევან როგორც თანამშრომელი და როგორც თქვენი ერთ-ერთი მადლიერი პაციენტი.

არასოდეს არ დამავიწყდება თქვენი კეთილშობილება და სითბო, რომელიც ჩემს მიმართ გამოიჩინეთ, რის გამოც ყოველი შეხვედრისას მინდოდა, რომ ბავშვივით მოგფერებოდით.

მადლობა თქვენ, რომ არსებობდით ამ ქვეყანაზე და მადლობა უფალს, რომელიც დაგიმკვიდრებთ სამუდამო სასუფეველს.

მსუბუქი ყოფილიყოს მიწა, რომელიც სალბუნად დაეფინება თქვენს სათნო და კეთილშობილ, მადლიან ხელებს.

ნახვამდის, ბატონო ლევან!
ვილოცებ თქვენი სულისათვის.

ნანა კარანაძე

---

მეუღლე იზა დემეტრაშვილი, სიდედრი ჯუნა დემეტრაშვილი, ცოლისდები მაია, თეა დემეტრაშვილები, ცოლისძმები მათე, ირაკლი დემეტრაშვილები, სიძე გიორგი ჯანგირაშვილი, ქვისლები ვლადიმერ მათითაშვილი, ზურაბ ბადრიძე, რძლები ქეთევან წიკლაური, მარიამ ჭელიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა



ვახტანგ კაკაურიძე

პანაშვიდი 3, 4 VIII, 16 სთ. გამოსვენება 5 VIII, 15 სთ. მისამართი: თბილისი, ირაკლი აბაშიძის 81, VI სართული.

---

იოსებ და გია ხარატიშვილები ოჯახებით დიდ მწუხარებას გამოთქვამენ გამოჩენილი მეცნიერისა და დიდი პროფესიონალის თენგიზ და თემურ ჩარკვიანების მამისა და ბიძის

ლევან ჩარკვიანის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ი. ჟორდანიას სახელობის ს/კ ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქვეყნოდ ცნობილი ონკოლოგი, პროფესორი

ლევან ჩარკვიანი

და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტი იუწყება

თამარ სოსელიას

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, ვახტანგ თოდუა, თეიმურაზ ლოლობერიძე, თეიმურაზ ბერიშვილი, დემურ ინჯია, კოტე სამუშია, ნუგზარ ბენდიაშვილი, კარლო სულხანიშვილი, შოთა კოლელიშვილი ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

სერგო ვლადიმერის ძე სირაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს ვეტერანი კალათბურთელები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ცნობილი ვეტერანი კალათბურთელის, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონისა და თასის მფლობელის

ჯუმბერ ნიჟარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2 VIII, 17 სთ. პაოლო იაშვილის №7. გამოსვენება 3 VIII, 15 სთ. საბურთალოს ძმათა სასაფლაოს წმინდა გიორგის ეკლესიიდან.

ერიჯა!

# აი, ამომრჩეველი და აი, დემოკრატიული არჩევნები!

## ავსტრიის ციხის ბინადარს თურმე საქართველოს პარლამენტის არჩევნებში „მიუღია“ მონაწილეობა (?!)

საქართველოს „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის ფილიალის ინფორმაციით, ქუთაისში 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებში „ხმა მისცა“ გიგა ცინცაძემ, რომელიც სტრადივარიუსის ვიოლინოს ქურდობის ბრალდებით ერთ წელია, ავსტრიის ციხეში იხდის სასჯელს.

როგორც მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, იგი 21 მაისს ქუთაისის №102 უბანში გამოცხადებულა, ხელის მოწერით დაუდასტურებია ბიულეტენის მიღება და ხმაც მიუცია.

**რედაქციისაგან: თუ გული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევაო, ნათქვამია. საქართველოს პარლამენტის არჩევნების წარმატებისთვის გულანთებულ გიგა ცინცაძეს ქადა ორი ხელით არ უჭამია, მაგრამ ორი კურდღელი კი დაუჭერია: თან ავსტრიის ციხის ბინადარია და თანაც, იმავდროულად, ჩვენი პარლამენტის არჩევნებშიც მიუღია მონაწილეობა.**

**აფერუმ, თქვენს მამულიშვილობასა და გამჭრიახობას, გიგა! უფრო სწორად, იმათ მამულიშვილობა-გამჭრიახობასა და „საზრიანობას“ ვინც ეს სპექტაკლი დადგა და ასეთი „ამომრჩევლებით“ ჩატარებულ არჩევნებს დემოკრატიულს, გამჭვირვალესა და ლამის მისაბაძს უწოდებს!**

**საინტერესოა, ვინმეს მაინც აუწევენ ყურს თუნდაც ამ ერთი კონკრეტული სიყალბე-დარღვევისთვის?**

IQ

გონების სავარჯიშო – ყმაწვილთათვის და არა ოდენ მათთვის

# მარჯვე ბიჭო ნიკო, შეიმოწმე ინკო*!

### ტესტი 4

1. მონახეთ სიტყვა, რომელიც ყოველ დასაწყისთან წარმოქმნის ახალ სიტყვას:
ბრი(....ძ; ეტი (....ძ; კერ (....ძ:
პი (....ძ; სა (....ძ

2. აძ – ეძ ჩამოთვლილ რიცხვთაგან რომელი დავსვათ კითხვის ნიშნის მაგიერ?




აძ 17; ბძ 13; გძ 0; დძ 20; ეძ 18

3. მოიფიქრეთ ორმარცვლიანი, ხუთასოიანი სიტყვა, რომელიც მარცვალთა გადანაცვლებით ახალ სიტყვად იქცევა.
**მინიშნება:** სიტყვა ბოლოვდება „ე“-თი.

4. შეადგინეთ განზომილების გამომხატველი სიტყვა.

| ე | ლ | რ | ი | ს | მ |
|---|---|---|---|---|---|

5. იპოვეთ ორპირიანი ზმნა, რომელშიც ზედიზედ გვხვდება 6 თანხმოვანი.
**მინიშნება:** ზმნა „იწყება „მ“-თი.

6. მოცემული ასოები უჯრებში ჩასვით ისე, რომ ჰორიზონტალურად გამოვიდეს ცნობილი ქართველი მწერლის გვარი, ვერტიკალურად – მისი გახმაურებული მოთხრობა.




ძ, კ. მ. ჩ, ა, რ, დ, ა, ბ, კ, ა, უ, ე

7. რა რიცხვი დაჯდება მესამე მწკრივში კითხვის ნიშნის ადგილას?
1, 2, 3, 6; 7, 8, 9, 24; 10, 11, 12?

8. ფრჩხილებში ჩაწერეთ ისეთი სიტყვა, რომელიც ორივე განსაზღვრებას მოერგება.
სამი (......ძ ფულის ერთეული

9. წერტილების ნაცვლად ასოები ჩაწერეთ ისე, რომ ყოველ სტრიქონში მიიღოთ სიტყვა, ხოლო ფრჩხილებში ზემოდან ქვემოთ – ფრინველი.
უ (.ძ მე
მ (.ძ რი
ა (.ძ ზა
ლ (.ძ რა

10. ფრჩხილებში მოყვანილ სიტყვათაგან რომელია მნიშვნელობით ახლოს ასომთავრულით დაწერილთან?
**ჭორი** (ყვირილი, სიცილი, დახეთქება, გაკენწვლა, შენამუსებაძ

### ტესტი 3-ის პასუხები

**1. უჯრედების ჰორიზონტალურ რიგში გამოდის „საჭიდაო“, ვერტიკალურ რიგში – „ლაღიძე“.**
**2. თუთიყუში**
**3. ქურდს ქუდი ეწვისო.**
**4. შეცდომა ისაა, რომ ტოლოზის ორივე მხარე შევკვეცეთ (1-1ძ-ზე; ნულზე გაყოფა არ შეიძლება.**
**5. პირველ ჰორიზონტალურ რიგში 44=5X7+9; ანალოგიურად მესამეში 14=2X4+6 და მეოთხეში 8=1X3+5. სამივე შემთხვევაში პირველი რიცხვი მრავლდება მეორეზე და ნამრავლს ემატება მესამე. ამ წესის მიხედვით კითხვის ნიშნის ადგილას 3 ჩაიწერება: 3X4+5=17.**
**6. ესკალოპი**
**7. დავაკვირდეთ მეორე კვადრატის წვეროებთან დასმულ რიცხვებს შემდეგი თანამიმდევრობით: 8X9=72; 3X6=18; 72:18=4 – ასე აღმოჩნდა მეორე კვადრატის ცენტრში 4; ამგვარადვე მესამე კვადრატშიც: 7X6=42; 3X7=21; 42:21=2.**
**ახლა გასაგებია, თუ რა რიცხვს დავსვამთ პირველი კვადრატის ცენტრში: 24X2=48; 2X4=8; 48:8=6. კითხვის ნიშანს ჩაანაცვლებს 6.**
**8. საპოვნი სიტყვა გახლათ ალი. გამოგვივა ახალი სიტყვები ბრალი, თვალი, კაკალი, კვალი, ნალი.**
**9. მდინარეა რიონი, ქალაქი – ონი.**
**10. ცხრილში მხოლოდ თითოჯერ შეხვედრილი ექვსი ასოსგან შედგება მსხალი.**

* ინკო – ინტელექტის კოეფიციენტი.

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87;
899 32-85-76.

ხსოვნა

## ნელი უჩანეიშვილი



**შეწყდა კიდევ ერთი ლამაზი სიცოცხლე, ძნელია სიტყვებით გამოხატო ის უდიდესი მწუხარება, დანაკლისი და გულისტკივილი, რაც ქალბატონ ნელის გარდაცვალებამ გამოიწვია მისი ოჯახის წევრებში, მეგობრებსა და ახლობლებში.**

**ქალბატონი ნელი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე მოღვაწეობდა ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვივარიუმის გამგედ. ის აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში. მის მიერ თანაავტორებთან ერთად შესრულებულია ათამდე სამეცნიერო ნაშრომი.**

**ქალბატონი ნელის სიცოცხლის სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა მისი დისა და ძმის ოჯახი, მათ შვილებზე და შვილიშვილებზე ზრუნვა. მისი ერთადერთი ძმისშვილი მან შვილივით გაზარდა. გულში ჩახუტებული ჰყავდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე.**

**ქალბატონი ნელი ყოველთვის ახლობლებისა და მეგობრების სიყვარულით ცხოვრობდა, რომლებიც მის სიცოცხლეს ალამაზებდა. ის შესაშური ფიზიკური აღნაგობის ქალბატონი გახლდათ. მის ჯანსაღ სხეულში ლამაზი მრავლისმეტყველი სულიერი სამყარო მეტად მომხიბვლელი იყო.**

**ქალბატონი ნელი სიცოცხლეზე უზომოდ შეყვარებული მძიმე სენთან ბრძოლით დაღლილი წავიდა ჩვენგან, დაგვიტოვა გაუნელებელი ტკივილი და თვალებზე შეუმშრალი ცრემლები. მისი ნათელი, სიყვარულით სავსე სახე მუდამ დარჩება ოჯახის, მეგობრებისა და ახლობლების ხსოვნაში.**

ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.

ს. ვირსალაძის სახელობის სამეცნიერო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომლის ქალბატონ
ნელი უჩანეიშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



ჩოხოსანთა კავშირის წევრები მურმან გოგია (მარცხნივ) და როინ ფუტკარაძე.

შპს „წნორის მანქანათმშენებელი ქარხანა-2003“ აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, მოგვმართოთ მისამართზე: ქ. წნორი, ქიზიყის, 55. ტელ. 895 40-30-14.

ეთერ, აზიზ, არმაზ, დიანა ახვლედიანები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ანზორ ზამბახიძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ცხადდება შპს „ფსიქოლოგიური კონსულტაციებისა და ტრეინინგების ცენტრის“ რეორგანიზაცია შერწყმის გზით, კერძოდ, ხდება შპს „ფსიქოლოგიური კონსულტაციებისა და ტრეინინგების ცენტრისა“ და შპს „ფსიქოლოგიური კონსულტაციის“ შერწყმა, რის შედეგადაც შპს „ფსიქოლოგიური კონსულტაცია“ წყვეტს არსებობას.

გაზეთის
დღევანდელი
ნომერი
თორმეტგვერდიანია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
რუსლან რუსია
899 17-21-21

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.